ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თეა ტაბატაძე _ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
1. დავით ჩხაიძე_ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
2. ნათია დარსაძე_საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
3. ნანა ნიკოლაშვილი_საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
4. სოფიო მგალობლიშვილი_უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
5. მადონა ბობოხიძე ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
6. თეა ხუროშვილი_ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
7. მარიამ ჯვარიძე_ სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
8. ციცინო თორია_მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
9. ალექსანდრე ლაცაბიძე_სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
10. ელენე ბეთლემიშვილი _ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	245429380

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ბათუმი
იურიდიული მისამართი	ჯავახიშვილის ქ.N66(I კორპუსი); ბაგრატიონის ქ.N121(II კორპუსი)
ფაქტობრივი მისამართი	ჯავახიშვილის ქ.N 66(I კორპუსი) ბაგრატიონის ქ.N121(II კორპუსი)
საფოსტო ინდექსი	6010
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https//skolebi.emis.ge/schools/307
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Batumi10@mes.gov.ge

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0422247081

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანება MES 5 23 0000996416
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	25-26 სექტემბერი 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის,

				ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სსიპ-ქალაქ ბათუმის N10საჯარო სკოლა;ჯავახიშვილის ქ.N66(I კორპუსი); ბაგრატიონის ქ.N121(II კორპუსი)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სსიპ-ქალაქ ბათუმის N10საჯარო სკოლა;ჯავახიშვილის ქ.N66(I კორპუსი);
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სსიპ-ქალაქ ბათუმის N10საჯარო სკოლა;ჯავახიშვილის ქ.N66(I კორპუსი)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 15 აგვისტოს ბრძანებაN 996416-ის საფუძველზე განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრთა ვიზიტი სსიპ ქალაქ ბათუმის N 10-ესაჯარო სკოლაში.

სასკოლო სივრცეში შეფასების პროცესი ეფექტიანად, პოზიტიურ, აქტიურ და თანამშრომლობით გარემოში წარიმართა. სკოლაში ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული სკოლის მარეგულირებელი სხვადასხვა დოკუმენტაცია- სამართლებლივი აქტები, კურიკულუმები და სხვა. განხორციელდა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და სკოლის მასწავლებლებთან კათედრების მიხედვით.

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1	☒ შეესაბამება

პერსონალის მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

		აღწერა

<table>
<tr><td rowspan="2">მოსწავლეთა რაოდენობა:
2552</td><td>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება
☒</td><td>(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</td></tr>
<tr><td>ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება
☐</td><td></td></tr>
</table>

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

1. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა ---- სრულ შესაბამისობაშია
2. ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა--სრულ შესაბამისობაშია
3. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრმა--- სრულ შესაბამისობაშია

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/ და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი NN3.5.1.2	დაწესებულების ინფრასტრუქტურ მათ შორის საერთო სარგებლობ სივრცეები და მატერიალურ	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში ასახულ* *ვადებში(15.06.2024-მდე) უზრუნველყოს ბიბლიოთეკის წესის შემუშავება დ* *წესის შესაბამისად სასწავლო რესურსების კატალოგის დამუშავება*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

	რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლ საზოგადოების წევრებისათვის.	
ინდიკატორი NN3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში ასახულ ვადებში (15.09.2024 -მდე) უზრუნველყოს პანდუსის ან ლიფტის მოწყობა*
ინდიკატორი NN3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში ასახულ ვადებში (15.09.2024 -მდე) ორივე კორპუსზე უზრუნველყოს* შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმების უზრუნველყოფა
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	ექსპერტების მიერ გაიცა რჩევა *სკოლამ გონივრულ ვადაში ორივე კორპუსზე უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების მიწერილობაში ასახული აქტივობების შესრულება (დასკვნების მოპოვება)* და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვანა N 006927923-ით გაცემული რეკომენდაციების შესრულება
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების **დაწყებითი** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	*რჩევა*
იდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებულ კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	ბუნებისმეტყველების პედაგოგებს მიეცა მითითება, რომ კურიკულუმები შეავსო სრულყოფილად, ეროვნულსასწავლო გეგმაშ

		მოცემული სავალდებულო თემების დათითოეული თემის ფარგლებში სამიზნ ცნებების დამუშავების პრინციპებ გათვალისწინებით
ინდიკატორი N 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.	1. სკოლამ შეიმუშავოს და გააზიაროს მე-5 კლასის ჩვენი საქართველოს კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილი, კომპლექსური დავალებების შესაბამისი განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკებით, ხოლო მე-6 კლასის კურიკულუმშიი სავალდებულო თემებში ყველა სამიზნე ცნება არ მუშავდება. მე და საზოგადოების მე-3 კლასის კურკულუმში მიეთითოს კომპლექსური დავალების იდეა; 2. ბუნებისმეტყველების პედაგოგებს მიეცათ მითითება, რომ კურიკულუმები შეავსონ სრულყოფილად, ეროვნულსასწავლო გეგმაშ მოცემული სავალდებულო თემებისა დათითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით. მასწავლებლებმაგანმავითარებელი დაგანმსაზღვრელი შეფასებს რუბრიკები სასურველია შექმნან დაწყებითი საფეხურის ყველა კლასისითვის.

ინდიკატორი N 2.3.1.3	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას	მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები დეტალურად აღწეროს მეთოდოლოგიაში, კერძოდ, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს - მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად? ვინ/რომელი სტრუქტურული ერთეულები/ჯგუფები განახორციელებენ შეფასებას? რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ? კრიტერიუმები/ინდიკატორები, რომლითაც მოხდება შეფასება და გაეცემა პასუხი კითხვას- რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს?
ინდიკატორი N 2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები	ექსპერტების მიერ სკოლას მიეცა რჩევა მომავალში, 2023-2024 სასწავლო წლიდან, გამოიყენოს მრავალფეროვანი თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (გამოკითხვა, ანკეტირება, ფოკუსჯგუფი, ინტერვიუ, დაკვირვება, ანგარიშები, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, ექსპერიმენტი და ა.შ. და სხვა.), რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* (ზოგადი განათლების **საბაზო** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები 6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსურდავალებასთან დაკავშირებთ უნდა შეივსოს ჩარჩოს შვიდივე სვეტი(თემა, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. საკიტხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, მაგალითები შედარებისთვის, გამოყენებული რესურსები) სრულად. ხოლო იმ საკითხთან მიმართებით, რომლებშიც არ ამუშავებთ კომპლექსურ დავალებებს ივსება შემდეგი ველები: თემა, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკიტხი/საკითხთა კლასტერ, გამოყენებული რესურსები.
ინდიკატორი N 2.2.1.2.	ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით	ექსპერტების მიერ გაიცა რჩევა: გასწორდეს საგან მოქალაქეობაში მოცემული თემების შეაბამისად საკითხთა კლასტერი და სამიზნე ცნებების, ქვეცნებების დასახელება. ასევე დახარისხდეს სწორად და დალაგდეს.
ინდიკატორი N 2.3.1.3	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას	მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები დეტალურად აღწეროს მეთოდოლოგიაში, კერძოდ, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს - მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად? ვინ/რომელი სტრუქტურული

		ერთეულები/ჯგუფები განახორციელებენ შეფასებას? რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ? კრიტერიუმები/ინდიკატორები, რომლითაც მოხდება შეფასება და გაეცემა პასუხი კითხვას- რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს?
ინდიკატორი N 2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები	ექსპერტების მიერ სკოლას მიეცა რჩევა მომავალში, 2023-2024 სასწავლო წლიდან, გამოიყენოს მრავალფეროვანი თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (გამოკითხვა, ანკეტირება, ფოკუსჯგუფი, ინტერვიუ, დაკვირვება, ანგარიშები, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, ექსპერიმენტი და ა.შ. და სხვა.), რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების **საშუალო** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	*რჩევა*

ინდიკატორი N 2.3.1.3	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას	მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები დეტალურად აღწეროს მეთოდოლოგიაში, კერძოდ, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს - მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად. ვინ/რომელი სტრუქტურული ერთეულები/ჯგუფები განახორციელებენ შეფასებას .რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ. კრიტერიუმები/ინდიკატორები, რომლითაც მოხდება შეფასება და გაეცემა პასუხი კითხვას- რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს.
ინდიკატორი N 2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები	ექსპერტების მიერ სკოლას მიეცა რჩევა მომავალში, 2023-2024 სასწავლო წლიდან, გამოიყენოს მრავალფეროვანი თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (გამოკითხვა, ანკეტირება, ფოკუსჯგუფი, ინტერვიუ, დაკვირვება, ანგარიშები, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, ექსპერიმენტი და ა.შ. და სხვა.), რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს.

VII. **წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებილი პოზიცია, სტანტარტებთან შესაბამისობის გეგმა და მტკიცებულებები და 3.4 და 3.5 კომპონენტი შეაფასა „მეტწილ შესაბამისად“ სტანდარტის მოთხოვნებთან.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომელიც შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სკოლის მისიას ემყარება სასკოლო სასწავლო გეგმა და მასში ასახულია უახლოეს წლებსა და მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის წინაშე არსებული გამოწვევები და მიზნები. მისიაში გაცხადებული ძირითადი მიზნებით, როგორიცაა: მოსწავლის ჰარმონიული

განვითარება, უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შექმნა, მაღალი ხარისხის აკადემიური განათლების და აქტიური სასკოლო ცხოვრება, საწინდარია მოსწავლის სულიერი ღირებულებების ჩამოყალიბებისა და ფასეულობების განვითარებისა. ასევე მათი მისიით ჩანს, რომ მოსწავლე უნდა მოამზადონ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდება თავისუფალ, განათლებულ პიროვნებად, იქნება ტოლერანტული და კონკურენტუნარიანი. სკოლის მისიის საფუძველზე შემუშავებული იქნა სკოლის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები. ამ მიზნების მისაღწევად სკოლა ქმნის მართვის, აღზრდის, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, შეფასებისა და თვითშეფასების თანამედროვე სისტემებს. სკოლის მისიის შესასრულებლად და პრობლემათა დასაძლევად შემუშავებულია სკოლის სასწავლო გეგმა,.სკოლაში საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესი ემსახურება პატრიოტი, დამოუკიდებელი, შემოქმედებითი, საკუთარი შესაძლებლობების მუდმივად განვითარების შემძლე ინფორმირებული და ამ ინფორმაციის ადეკვატურად გამოყენების უნარის მქონე, ბუნებრივი გარემოს დამცველი კანონმორჩილი და ტოლერანტი ადამიანის აღზრდას.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია თითოეულ მოსწავლეზე და ითვალისწინებს მათ ინტერესებს, შესაძლებლობებს და მიდრეკილებებს. მატერიალური, ინტელექტუალური და დემოკრატიული ღირებულებების შეაქმნელად სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის ხედვაა: მოსწავლე ჩამოყალიბდეს სოციუმის სრულფასოვან წევრად,იყოს რეალიზებული და თავისი საქმიანობით ქმნიდეს ინტელექტუალურ კაპიტალს თანამედროვე საზოგადოებაში.ამისათვის სკოლა ქმნის ისეთ სასწავლო გარემოს, სადაც ყველას თავისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენა შეეძლება.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის მისიითა და ხედვით განსაზღვრულია სკოლის, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული, კეთილგანწყობილი გარემოს როლი, რაც ხელს უწყობს ყველასთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას სასკოლო რესურსებსა და აქტივობებში ჩართულობაზე: სასკოლო და სოციალურ პროექტებში, ექსკურსიებსა და ლაშქრობებში, საგნობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა. სკოლა უზრუნველყოფს, რომ მოზარდმა შეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასება შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, ესგ-ის ერთ-ერთი გამჭოლი კომპეტენციის - ციფრული წიგნიერების განვითარება/ ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სკოლა ცდილობს ხელი შეუწყოს მოსწავლეებისთვის, უსაფრთხო კეთილგანწყობილი სივრცის შექმნას და განათლების ხელმისაწვდომობას.მათი ხედვაა, მომავალში სკოლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა იყოს რეალიზებული, მოთხოვნადი კადრი შრომის ბაზარზე და თავისი საქმიანობით ქმნიდეს ინტელექტუალურ კაპიტალს თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში. სწორედ სასკოლო საზოგადოების საჭიროებებიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა სკოლის მისია და ხედვა. სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლა ყოველწლიურად

გეგმავს და ახორციელებს სასკოლო პროექტებს, თანამშრომლობს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრთან, მაგალითად, თამბაქოსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს განახორციელა პროექტი ,,ვუთხრათ არა ნიკოტინს“. პატარკაციშვილი გუდავაძის ფონდის დაფინანსებით სკოლის პედაგოგმა გაიარა ტრენინგები დებატ კლუბის ხელმძრვანელობის მიმართულებით და სკოლაში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს დებატ კლუბი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. ექსპერტთა ვიზიტისას გამოთხოვილი იქნა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სკოლის წინაშე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რეგიონში არსებული ტენდენციების გაანალიზებითა და ზოგადი განათლების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით, სასკოლო საზოგადოებამ შეიმუშავა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. ვიზიტისას წარმოდგენილ იქნა მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის თანახმად სკოლა მისიას, ხედვას და ღირებულებებს შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართულია სკოლის დირექცია, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მოსწავლეები, სამეურვეო საბჭო, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება ხორციელდება შემდეგი ეტაპების დაცვით:

ა) სამუშაო ჯგუფის მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება;

ბ) პროექტების გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

გ) მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება;

დ) მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო სახით ფორმირება;

ე) შემუშავებული დოკუმენტების გამოქვეყნება ვებგვერდზე.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულებამ წარმოადგინა პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს ოქმები სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმებასა და დამტკიცებასთან დაკავშირებით. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი. შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს წევრები-მშობლები და პედაგოგები, ასევე პედაგოგიური საბჭოს წევრები იცნობენ სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით რეგულირდება სასკოლო საზოგადოებისთვის მისიის და ხედვის გაზიარების მექანიზმები:

ა) მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდება ბეჭდვურ მასალებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებში;

ბ) მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდება სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე;

გ) მისია, ხედვა და ღირებულებები გაჟღერებული იქნება სკოლაში დაგეგმილ შეხვედრებზე, სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის პრეზენტაციაზე და სხვა ოფიციალურ ღონისძიებებზე, რომლებიც ორგანიზებული იქნება სკოლის მიერ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულებას სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი განთავსებული აქვს საინფორმაციო დაფაზე. სკოლამ ექსპერტების ვიზიტისას გააქტიურა ვებგვერდი,შესაბამისად, უზრუნველყო დოკუმენტების გასაჯაროება ვებგვერდზე. გარდა ამისა, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტით გასაჯაროება იგეგმება ასევე სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებში და მოსწავლეებსა და მშობლებთან შეხვედრებზე.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება, სსიპ-ქალაქ ბათუმის N10. რომელიც განსაზღვრულია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის და 2017 წლის 16 მარტის N194 „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებების შესაბამისად, სრულად შეესაბამება სკოლის სტატუსს.დაწესებულება არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, შესაბამისად აღნიშნული ჩანს მის დასახელებაშიც.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი;
- ✓ სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- ✓ პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- ✓ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- ✓ სკოლის ვებგვერდი;
- ✓ ვიზუალური დათვალიერება;
- ✓ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლაში ვიზიტისას წარმოდგენილი იქნა სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სტრატეგიული გეგმის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დაგეგმვის პროცესი განსაზღვრულია თანამონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებით. მეთოდოლოგიით ასევე განსაზღვრულია სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისა და სტრუქტურული ერთეულის ჩართულობა დაგეგმვის პროცესში, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას დაგეგმვის პროცესში. დოკუმენტით გაწერილია დაგეგმვის პროცედურა, რომელშიც გამოყოფილია:

- სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება;
- პროექტების გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის/თემისთვის;

- მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა;
- სკოლის დირექტორის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების განხილვა და სამეურვეო საბჭოსთან წარდგენა დასამტკიცებლად;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ და გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა აღნიშნული დოკუმენტი. სსიპ ქალაქ ბათუმის N 10 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 01 სექტემბრის #2-33 ბრძანებით, რისი უფლებამოსილებაც დირექტორს მინიჭებული აქვს ზოგადი განათლების შესახებ კანონის 43-ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულებამ ადგილზე ვიზიტისას წარმოადგინა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა. აღნიშნული გეგმა მოიცავს 2023-2030 წლებს, შესაბამისად არის 7 წლიანი, ციკლური-ექვემდებარება გადახედვა-რევიზირებას, ცვლილებების შეტანას მოქმედების პერიოდში ორჯერ. დოკუმენტი მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, მიზნის შესაბამისად გამოყოფილია ამოცანები. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა. აღნიშნული სტრატეგიული მიზნები შეესაბამება სკოლის მისიასა და ხედვას. გეგმაში გაწერილი ამოცანები ხელს უწყობს სტრატეგიული მიზნების მიღწევას. სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 07 სექტემბრის #04-05/1სხდომის ოქმით დამტკიცებული სსიპ ქალაქ ბათუმისN10 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია არეგულირებს სტრატეგიული გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული წესის თანახმად, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის 04 სექტემბრის #1 ოქმი, რომლითაც დასტურდება, რომ სამეურვეო საბჭომ შეითანხმა სკოლის სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. შემდგომში გეგმების დამტკიცება მოხდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. 2022-2023 სასწავლო წლის ერთლიანი სამოქმედო გეგმის გაცნობით დადასტურდა, რომ იგი შესაბამისობაშია და გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან. სკოლის 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც აღწერს სკოლის სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად, საშუალოვადიან პერიოდში დაგეგმილ აქტივობებს. იგი მოიცავს ამოცანებს, აქტივობებს, მათი განხორციელების ვადებს, პასუხიმგებელ პირებს, ჩანს გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიის დოკუმენტში იკვეთება, რომ სკოლა ფლობს საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, რათა სწორად დაიწყოს და დაასრულოს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის რევიზირების პროცესი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დამტკიცებულია დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- ✓ 2023-2030 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ✓ 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა.
- ✓ სკოლის ვებგვერდი;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 07 სექტემბრის #04-05/1 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ ბათუმისN10 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის თანახმად, განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მიმდინარე შეფასება გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, რაც მომავალში უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საქმიანობის ეფექტიანობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას აქვს მზაობა.

პირველად ავტორიზაციაზე ინდიკატორი ვერ ფასდება

3. სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 07 სექტემბრის #1 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მიხედვით სკოლას განსაზღვრული აქვს, როგორ აპირებს მომავალში სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გაზიარებას სასკოლო საზოგადოებისთვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას აქვს მზაობა.

პირველად ავტორიზაციაზე ინდიკატორი ვერ ფასდება

4. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია მონოტორინგის და შეფასების შემდგომი ცვლილებების განხორციელება. სამუშაო ჯგუფი ანალიზის საფუძველზე აყალიბებს მიგნებებსა და რეკომენდაციებს, რასაც მოჰყვება მათი ინიცირება. წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით. ანგარიშის საფუძველზე გადაიხედება სტრატეგიული გეგმა და განისაზღვრება მასში ცვლილებების შეტანის საჭიროება. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძვლად ედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა, ეფექტიანად გამოიყენოს გეგმების შესრულების შედეგები სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას აქვს მზაობა.

პირველად ავტორიზაციაზე ინდიკატორი ვერ ფასდება

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააზრებული აქვს, რომ სკოლის ეფექტიანობას განაპირობებს სკოლაში ყველა დასაქმებული პირის კოორდინირებული, შეთანხმებული საქმიანობა. სკოლაში ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სტრუქტურა, რომელშიც ნათლად ჩანს სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა. შეიძლება ითქვას, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის

ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სტრუქტურაში ჩანს დაწესებულების დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სკოლის სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია თითოეული სტრუქტურული ერთეულისა და საშტატო ერთეულისთვის შესასრულებელი სამუშაოს ჩამონათვალი. ექსპერტთა მიერ შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა აღნიშნული დოკუმენტი. თითოეული თანამდებობისთვის ჩამოყალიბებულია ზუსტი სამუშაო აღწერილობა, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას იერარქიის შესახებაც-ვის ექვემდებარება კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმებული პირი. ასევე განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამშრომლის არსებობა ხელს უწყობ საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებას. მრჩეველთა საბჭო, მანდატურები და დისციპლინარული კომიტეტი ტექნიკურ პერსონალთან ერთად ზრუნავს სკოლაში უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემოს შექმნაზე. ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო და კათედრები ზრუნავს სასწავლო პროცესის დაგეგვაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე. დირექცია ფასილიტაციას უწევს ამ პროცესებს, ჩართულია თითეული რგოლის მუშაობაში, აფასებს განხორციელებულ პროცესებს და საჭიროებისამებრ გასცემს რეკომენდაციებს. სამეურვეო საბჭო საჭიროებისამებრ წარუდგენს სკოლის დირექტორს რეკომენდაციებს, ითანხმებს სასკოლო სასწავლო გეგმას, ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესსა და ბიუჯეტს, იბარებს სკოლის დირექტორისგან წლის ბოლოს ფინანსურ და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სკოლის სტრუქტურა;
- ✓ სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი;
- ✓ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ბათუმის #10 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 25 მაისის01-03/76 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პერსონალის მართვის პროცედურები. პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში ასახულია ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი სტრატეგია და მიზნები, პერსონალის შემუშავებული სამუშაოს შეფასება, პერსონალის პროფესიული განვითარება ; პერსონალის წახალისება, მათ შორის, პერსონალთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისება. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 06 სექტემბრის #2 ოქმით. შინაგანაწესი არეგულირებს პერსონალის დისციპლინურული პასუხისმგებლობის საკითხებს; თანამშრომლებს შორის კომუნიკაციას; პერსონალის განთავისუფლება და სხვა.დაწესებულებიშინაგანაწესი თანხვედრაშია საქართველოს შრომის კოდექსთან და პერსონალთან გაფორმებულ ინდივიდუალურ ხელშეკრულებასთან.
   ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ვიზიტის დროს პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: დირექცია პერსონალის შერჩევის პროცედურის დაწყებამდე აღწერს სამუშაოს, ხდება იდენტიფიცირება, თუ რა კონკრეტულ მოთხოვნებს უყენებს ეს სამუშაო დასაქმებულს. სკოლა უზრუნვლყოფს პერსონალის ინტერვენციულ მართვას. საჭიროებისამებრ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში უზრუნველყოფს მისი ფუნქციების დელეგირებას სხვაზე ისე, რომ არ დაზარალდეს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი/ პროცესები. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მნიშვნელოვანია შეფასება განვითარებისთვის და

არა კონტროლისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. გამოწვევებს წარმატებით უმკლავდება, ეტაპობრივად ხორციელდება სვოტანალიზი სასკოლო საჭიროებების გამოსავლენად და შესაბამისად იგეგმება და ხორციელდება კონკრეტული საქმიანობა. ყველა გადაწყვეტილება მიიღება ადმინისტრაციის წევრებთან შეთანხმებითა და სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინებით. შრომით ხელშეკრულებებსა და სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმაში დროში გაწერილია და მკაფიოდ არის მოცემული პერსონალის უფლება-მოვალეობები. გამოყოფილია სკოლის დირექტორის ბრძანებით უსაფრთხოებაზე უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ჩატარებული ინსტრუქტაჟი სხვადასხვა პრობლემის დროს თუ როგორ უნდა იმოქმედოს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სკოლა იყენებს საკონკურსო წესს.სკოლაში ვაკანტური პოზიციის შესავსებად ცხადდება შიდა და ღია კონკურსი, სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ბრძანების საფუძველზე, რომლითაც განისაზღვრება კონკურსის ვადები, პირობები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, სპეციალური მოთხოვნები. ინფორმაცია შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში, ყველა მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომ ადგილას სამასწავლებლოში, საინფორმაციო დაფაზე. ღია კონკურსის გამოცხადება ხდება ინტერნეტ სივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე http://teacherjobs.ge/-ზე. კონკურსის განთავსების ვადები განისაზღვრება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. აღნიშნული წესით განსაზღვრულია კონკურსის სახეები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისა და შერჩევის პროცედურების ჩატარების წესი, პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები. დაწესებულების მიერ შემუშავებული წესი ხელს უწყობს ობიექტურობისა და გამჭირვალობის პრონციპების დაცვით შესაბამისი კადრების შერჩევას. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტი. თვითშეფასებიდანაც იკვეთება და სკოლაში ვიზიტითაც დადასტურდა, რომ ღია კონკურსის წესის ჩასატარებლად იქმნება საკონკურსო კომისია, განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები. სკოლის ყველა თანამშრომელს აქვს წარმოდგენილი შესაბამისი ცნობები: ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, და ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. ვიზიტისას გადამოწმდა პედაგოგთა და სხვა დასაქმებულ პირთა პირადი საქმეები. ასევე პირადი საქმეები გადამოწმდა და შედარებული იქნა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის თანამდებობრივ

ინსტრუქციებთან. დოკუმენტში გაწერილია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ვალდებულებები. სკოლის სამედიცინო პერსონალს წარმოადგენს სკოლის ექთანი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ №41/ნ/01-23/ნ ბრძანების №1.2 დანართის თანახმად, სკოლაში 800 მოსწავლეზე მეტი რაოდენობისთვის საჭიროა ორი ექიმი, ექიმის საკადრო რესურსის არ არსებობის შემთხვევაში კი დასაშვებია ჩანაცვლდეს ექთნით.სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა , რომ მიუხედავად ვაკანსიის გამოცხადებისა, არ მოიძებნა სკოლაში ექიმის პოზიციაზე დასაქმების მსურველი კადრი, ამიტომ დაწესსებულება მოქმედებს ზემოთ აღნიშნული ბრძანების თანახმად. სკოლაში მოქმედ ექთნს აქვს ფერშალის კვალიფიკაცია. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სკოლის ექთნად შესაძლებელია დასაქმებულ იქნეს „სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმების უფლებისა და შესაბამისი განათლების მქონე სამედიცინო პერსონალის ნუსხის“ შესაბამისად სამედიცინო დაწესებულების ექთნად დასაქმების უფლების მქონე პირი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო. გადაწყვეტილებების მიღება სკოლაში ხდება გუნდთან ერთად. საჭიროების შემთხვევაში იქმნება კომისია სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ვიზიტის დროსაც, დადასტურდა, რომ მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებით ფუნქციონირებს დაწესებულება. ასევე შექმნილია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, დაწესებულება ახდენს მოვალეობების დელეგირებას და პასუხისმგებლობების გადანაწილებას. ინტერვიურებისას დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა და ყველა პირი, კომპეტენციის ფარგლებში, ჩართულია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებეულებების დოკუმენტითაც გაცხადებულია, რომ სკოლის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება თანამშრომლობაა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სსიპ-ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლა ცდილობს წაახალისოს თანამშრომელთა წარმატებული საქმიანობა. სასკოლო საზოგადოების საქმიანობაში მიღწევების, გამარჯვების, წარმატების აღიარება და წარმოჩენა ხორციელდება როგორც სკოლის სოციალურ გვერდზე, ისე სკოლის ფოიეში განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე. პედაგოგთა საქმიანობა ითვალისწინებს კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარებას. გარდა ამისა, სკოლის წარმომამდგენლებმა აღნიშნეს, რომ მაქსიმალურად ცდილობენ ხელი შეუწყონ პედაგოგებს კარიერულ ზრდასა და განვითარებაში, წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მიზნით ხდება სამუშაო შეხვედრების ჩატარება, კოლეგის გაკვეთილზე დასწრება და კათედრებზე გამოცდილების გაზიარება. საუკეთესო პრაქტიკის შემთხვევები კი ვრცელდება სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი;
- ✓ კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ✓ პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია;
- ✓ შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები/დანიშვნების აქტები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ბათუმის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის #2-48 ბრძანებით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. დაწესებულება უზრუნველყოფს იერარქიული სტრუქტურისა და თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობას. განსაზღვრულია ახალი თანამრომლის სოციალიზაციის პირობები, თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარების სისტემა. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის დებულება აწესრიგებს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა საქმიანობას. ხარისხის ჯგუფის წევრები ახორციელებენ მასწავლებელთა შიდა შეფასებას, კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციით შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან, ჯგუფი ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებას, შეფასებას და აძლევს განმავითარებელ შეფასებას ჩატარებული გაკვეთილის ირგვლივ. შესაბამისად, შეფასების საფუძველზე ხდება თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მექანიზმებს. სკოლას განსაზღვრული აქვს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარება სკოლის ბაზაზე, დაფინანსება და შესაბამისი თანხის გამოყოფა, ანაზღაურებადი შვებულება პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. დაწესებულებას ჯერ არ აქვს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში შექმნილია ხარისხის ჯგუფი, წარმოდგენილია ხარისხის ჯგუფის დებულება, რომლის მიხედვით ხარისხის ჯგუფმა ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. ამავდროულად სკოლის სტრატეგიული გეგმით გაცხადებულია რომ სკოლა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით: დანერგავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შიდა მექანიზმებს, გუნდური მუშაობის პრინციპებს, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულ მიდგომებს, მოხდება გამოცდილების გაზიარება. ყველა ზემოაღნიშნული კი ჩაშლილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტში 2023- 2024 სასწავლო წლისათვის.სკოლა მუდმივად სთავაზობს მასწავლებლებს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ ტრენინგებს, რაც თავისთავად ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. სკოლა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სკოლა პირველად ავტორიზაციას გადის.

ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ყველა საჭირო პირობაა შექმნილი, რათა მოხდეს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაცია. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია სოციალიზაციის პროცესი, რომელიც

ითვალისწინებს ახალმიღებული თანამშრომლის მუშაობაზე მოწყობასა და სწრაფ ადაპტაციას, რაც ითვალისწინებს სწრაფად გარკვევას მნიშვნელოვან საკითხებში, შფოთვის და სტრესის შემცირებას, ეფექტური სოციალიზაციას, ლოიალობისა და ერთგულების ჩამოყალიბებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია თანამშრომელთა წახალისების წესი. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის ჯგუფის დებულების თანახმად ხარისხის ჯგუფის ერთ-ერთი მოვალეობა პროფესიული განვითარების მიზნით რეკომენდაციების გაცემაა- რა ტიპის ტრენინგი და გადამზადება გაიაროს პერსონალმა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ✓ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ✓ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულება საგანამანათლებლო საქმიანობას წარმართავს თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით. სკოლის თითოეული რგოლი ურთიერთდაკავშირებულად ფუნქციონირებს სკოლის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომელთა საქმიანობა საერთო ჯამში ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვას. სკოლა, როგორც ორგანიზაცია და ინსტიტუცია, თავის საქმიანობას წარმართავს პროცესული მიდგომით. დაწესებულებას აქვს დაგეგმვის და მონიტორინგის პრაქტიკა. სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის დირექტორის 2020 წლის 27 ნოემბერის #01-03/129 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვის მექანიზმები. დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ სწავლა-სწავლებისა და მართვის ხარისხზე დაკვირვება და პროცესების შეფასება ციკლური ხასიათისაა. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მართვისას იყენებს სკოლის მართვის პროცესულ მიდგომას, ხელს უწყობს დაწესებულების ყველა რგოლის ერთი მიზნისკენ მიმართვას და მონიტორინგსაც უწევდა შესრულებულ სამუშაოებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები გაწერილია (აღწერილია) სკოლის მიერ წარმოდგენილ შინაგანაწესში, ხელშეკრულებებში, ბრძანებებში. განსაზღვრულია ის პირები, რომლებიც ახორციელებენ კონკრეტულ საქმიანობებს პროცესების უზრუნველსაყოფად სკოლას შექმნილი აქვს მოსწავლის სერვისების განხორციელების ისეთი დოკუმენტი, როგორიცაა მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სკოლის უსაფრთხოების დაცვის დოკუმენტი, საქმისწარმოების წესი (დოკუმენტბრუნვა). სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა საქმისწარმოების განხორციელება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მეშვეობით.სკოლა საქმიანობას

წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით რეგულირდება საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული პროცესები და თითოეული ტიპის პროცესზე პასუხისმგებელი პირები. სკოლას შექმნილი აქვს დოკუმენტი, რომელშიც თითოეულ რგოლთან მიმართებით, სკოლის სტრუქტურიდან გამომდინარე გაწერილია რა ტიპის პროცესზე რომელი სტრუქტურა და/ან პირია პასუხისმგებელი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.დაწესებულებაში სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვა გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით დაინტერესებულმა პირმა შესაძლებელია მიმართოს სამეურვეო საბჭოს. აუცილებლობის შემთხვევაში სკოლას შეუძლია შექმნას სააპელაციო კომისია. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი დისციპლინური გადაცდომების განსახილველად, მასში თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი მოსწავლეები (მოსწავლეთა თვითმმართველობის წარდგენით), მშობლები (სამეურვეო საბჭოს წარდგენით), მასწავლებლები (პედსაბჭოს წარდგენით); სკოლის შინაგანაწესში მკაფიოდ არის გაწერილი დისციპლინური სახდელები და დარღვევათა ტიპები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალისა და მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები მკაფიოდაა გაწერილი შინაგანაწესსა და მასწავლებელთა და სკოლაში დასაქმებულთა შრომით ხელშეკრულებებში. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ✓ პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები;
- ✓ სკოლის სოციალური გვერდი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები სკოლას უზრუნველყოფილი აქვს შემდეგნაირად: - აქტიურადაა გამოყენებული როგორც კლასის დამრიგებლების მიერ საზოგადოების ინფორმირებას, ისე სხვადასხვა სახის საინფორმაციო წყაროები, როგორიც არის სოციალური ქსელი, ან საინფორმაციო დაფა, - პროცესში აქტიურად მონაწილეობს სკოლის დირექციაც, რომელიც პერიოდულად მართავს შეხვედრებს როგორც თანამშრომლებთან, ისე მოსწავლეებთან და მოსწავლეთა მშობლებთან, სკოლა მშობლების ინფორმირებისა და უკუკავშირისათვის იყენებს გამოკითხვის ფორმას. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ინფორმაციის გავრცელების ფორმები სხვადასხვა ჯგუფებში, საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღების ფორმები, ასევე მიღებული უკუკავშირის ანალიზი და შემდგომში გათვალისწინება. უკუკავშირის მიღება გათვალისწინებულია ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშიც.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით. ყველა სტრუქტურული რგოლის მუშაობის მთავარი მიზანი სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელშეწყობაა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ✓ სტრუქტურული ერთეულების,პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმეტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა, ორივე კორპუსში, მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისთვის და თანამშრომლებისთვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს. სკოლის საშუალებებიდან გამომდინარე უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, სკოლის ორივე კორპუსში 24 საათის განმავლობაში არის დარაჯი (სულ 5 დარაჯი), რომელიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და მის შემდგომ პერიოდშიც უზრუნველყოფს სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს, კერძოდ, სკოლაში,ორივე შენობაში შემოღებულია საშვთა სისტემა,

რომელზეც დამრიგებელი დეტალურად წერს მიზეზს (მშობელთან კომუნიკაციის საფუძველზე) სკოლიდან მოსწავლის გაშვებასთან დაკავშირებით, რომელზეც აწერს ხელს, როგორც დამრიგებელი, ასევე სკოლის დირექციის წარმომადგენელი, რომლის გარეშეც მოსწავლე ვერ ტოვებს სასკოლო სივრცეს.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება აცხადებს , რომ მოსწავლის სკოლაში არ გამოცხადების შესახებ ინფორმაციას მშობელი აწვდის დამრიგებელს სატელეფონო კავშირით ან სოციალური ქსელის მეშვეობით. თუ დამრიგებელი მშობლის მხრიდან არ არის ინფორმირებული სკოლაში მოსწავლის არ გამოცხადების შესახებ მაშინ დამრიგებლი თავად უკავშირდება მშობელს და ადგენს მოსწავლის არ გამოცხადების **მიზეზებს. დასკვნის პროექტში ასახული იყო, რომ „სკოლას ამჟამად არცერთ კორპუსზე არა აქვს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, თუმცა აქვს მიმართვა შესაბამის ორგანოსთან (ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო), წარმოდგენილი დოკუმენტი თარიღდება 15.06.2023 წლით“. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ ორივე შენობაზე წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვანა N 006927923, რომლის თანახმად შენობების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და არის გაცემული რეკომენდაციები.** სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები, პანდემიამდე ტარდებოდა სახანძრო უსაფრთხოებასთან და ევაკუაციასთან დაკავშირებით სასკოლო სწავლება. 2023-2024 სასწავლო წლიდან აღნიშნული სწავლება იქნება აღდგენილი. სკოლას, ასევე, ჰყავს 4 მანდატური, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის ორივე კორპუსის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას, მუდმივად აკონტროლებენ სკოლის დერეფანს, ვიდეო კამერებს და რეაგირებენ ყველა სამართლებრივი ნორმების დაცვით, თანამშრომლობენ სკოლის დირექციასთან, საჭიროებიდან გამომდინარე, მოსწავლის მეურვის თანხმობის საფუძველზე, რეფერირებას ახდენენ სხვადასხვა ორგანოებთან საჭიროებებიდან გამომდინარე, მიმდინარეობს მოსწავლეთა უსაფრთხო სასწავლო პროცესი. სკოლაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები, რომელებიც უზრუნველყოფენ სკოლის ორივე კორპუსისი შიდა და გარე პერიმეტრს. სკოლაში დირექტორის ბრძანებით არის განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის მექანიზმები და მათ დაცვაზე უფლებამოსილი პირი. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით სკოლის ორივე კორპუსში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. შემუშავებულია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სკოლას აქვს განსაზღვრული საშტატო ერთეულით ექთნის პოზიცია. ექსპერტებმა შეისწავლეს ადგილზე ორივე კორპუსში აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული პირებისს პირადი საქმეები, რითაც დასტურდება, რომ მათ აქვთ შესაბამისი კომპეტენცია შეასრულონ ექთნის მოვალეობა სკოლაში. სკოლას არცერთ კორპუსზე არ აქვს შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმები. **სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციათან ერთად წარმოადგინა სტანდართან**

შესაბამისობი გეგმა, რომლის თანახმად უზრუნველყოფს აღნიშნული ქმედების შესრულებას 15.09.2024-მდე. სკოლაში წყალმომარაგება არის უწყვეტი. სკოლას გააჩნია წყლის ავზი, რომელსაც მხოლოდ ტექნიკური საჭიროებებისათვის იყენებს.

სკოლაში, ორივე კორპუსში, დაპროექტებულია სახანძრო სისტემა. სკოლას ორივე კორპუსზე აქვს 2023 წელს შესაბამისი უწყების მიერ გაცემული აქტი/მიწერილობა.

ექსპერტების მიერ გაიცა რჩევა *სკოლამ გონივრულ ვადაში ორივე კორპუსზე უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების მიწერილობაში ასახული აქტივობების შესრულება (დასკვნების მოპოვება) და* ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვანა N 006927923-ში გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის *მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნასთან.*

2. სკოლაში მომუშავე მანდატურები უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე და მის მიმდებარე სივრცეზე უსაფრთხოების დაცვას.სკოლაში, ორივე კორპუსში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კონტროლდება სკოლაში შემოსული ყველა სუბიექტის მოსვლის მიზეზი. კლასის ხელმძღვანელნი ვალდებულნი არიან წესრიგის დარღვევის შემთხვევაში გამოიძახონ მოსწავლის მშობელი. სკოლაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები შიდა და გარე პერიმეტრზე და ხდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი.დაწესებულებას აქვს შინაგგანაწესი, რომელიც, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, იცნობს სკოლაში დასაქმებული პრსონალი და მოსწავლეები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; სკოლის ადმინისტრაცია და საგნის მასწავლებლები ცდილობენ თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული გარემოს შექმნას, სადაც თითოეული მოსწავლე დაცულად იგრძობს თავს და ფსიქო-ემოციური განვითარების საშუალება მიეცემა. ასევე პოზიტიურია მასწავლებელთა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა ურთიერთობები. სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, თუმცა არიან სპეცმასწავლებლები. ზოგადად სკოლის პოზიტიური ემოციურად უსაფრთხო გარემო სასკოლო საზოგადოებას ჰარმონიული განვითარების საშუალებას აძლევს და უზრუნველყოფს მშვიდობიან თანამშრომლობას ყველა რგოლს შორის. ამასთანავე, სკოლა მუდმივად ცდილობს შემუშავებული ჰქონდეს პრევენციული ღონისძიებები დარღვევების თავიდან ასაცილებლად. უპირველეს ყოვლისა, დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს, მოსწავლეები თავად ქმნიან ქცევის წესებს, რომლებიც შეესაბამება საყოველთაოდ დადგენილ ნორმებსა და სკოლის შინაგანაწესს. სკოლის დირექციის მიერ კონტროლდება რამდენადაა დაცული მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, მშობლებს, სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ რგოლს შორის თანასწორობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული კომუნიკაცია. დარღვევების აღმოჩენისას, სკოლა სათანადოდ რეაგირებს თავისი

უფლებამოსილების ფარგლებში, ეს იქნება მანდატურის სამსახურისა თუ სამართალდამცველი რგოლების ინფორმირებულობა. ასევე, უპირველ/ეს ყოვლისა, ცდილობს პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენას და ისეთი ინტერვენციების განხორციელებას, რომლებიც დაეხმარება დაზარალებულ მხარეს ფსიქო-ემოციური ბალანსის აღდგენაში და დაპირისპირებულ მხარეებს კონსესუსის მიღწევაში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია.

4. სკოლის ორივე კორპუსში არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, მოწესრიგებული და გამართულია სველი წერტილები, გამოიყენება სადეზინფექციო საშუალებები სველი წერტილების დასამუშავებლად, თხევადი საპონი და თანამედროვე ხელსაშრობი მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სკოლაში არის სუფთა და უსაფრთხო გარემო. მოწესრიგებული და დასუფთავებულია სკოლის ეზო და მიდამო. ვიზიტის დროს ვიზუალური დათვალიერებისას შენობა იყო მოწესრიგებული და დაცული იყო ჰიგიენის ნორმები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულების წარმომადგენლები აცნობიერებენ პეროსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობას. სკოლის სოციალურ ქსელში ფოტომასალა ქვეყნდება მშობელთა ნებართვების საფუძველზე. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია მოსწავლეს და მშობელს მიეწოდება პირადად, კონფიდენციალობის დაცვით. სკოლა ინფორმაციას გასცემს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პერსონალური მონაცემების დაფარვის შემდეგ. დაწესებულებაში შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი, სკოლის დირექტორის 2021 წლის 15 თებერვლის #01-03/10 ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. საქმისწარმოებისა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირებს. შესაბამისად, სკოლას უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. დაწესებულებას შემუშვებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმი. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ შენობის მიღება-ჩაბარების აქტი;
- ✓ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები;
- ✓ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ✓ პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით. სკოლას შენობა-ნაგებობა და ფართი სახელმწიფსგან უსასყიდლოდ აქვს გადაცემული პირველადი სარგებლობის უფლებით, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. დაწესებულების აქვს ორი კორპუსი. ამჟამად სამივე საფეხურის სწავლება ხორციელდება ერთ კორპუსში(მეორე კორპუსი დროებით ათვისებული აქვს სხვა საჯარო სკოლას.) მეორე კორპუსში მხოლოდ დაწყებითი საფეხურის პირველი და მეორე კლასია ორ ცვლაში. ორივე შენობა არის 4 სართულიანი,სკოლის პირველ კორპუსში პირველ და მეორე სართულზეა სველი წერტილები. მათ შორის, ადაპტირებულიც. მეორე კორპუსში სველი წერტილები, მათ შორის, ადაპტირებული არის მხოლოდ პირველ სართულზე. სკოლის პირველ კორპურსში არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია.მეორე კორპუსს არ აქვს ამ ეტაპზე საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სკოლის დირექციის განხცადებით გააკეთებენ ლაბორატორიას როგორც კი მეორე კორპუსს დატოვებს დროებით შესული სხვა სკოლა. ორივე კორპუსს აქვს სასკოლო ბუფეტი, სპორტდარბაზი და სააქტო დარბაზი. სკოლის სპორტდარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, კერძოდ, ფეხბურთისა და კალათბურთის ბურთები. ჭადრაკი, ბადმინტონი.სპორტდარბაზს აქვს გასახდელები,გამიჯნულია გოგონებისა და ბიჭების, . სკოლა გეგმავს ყველა სასკოლო ოთახის ეტაპობრივად აღჭურვას პროექტორით. საბუნებისმეტყველო საგნებისთვის საჭირო თვალსაჩინოებები განლაგებულია ლაბორატორიაში. მოსწავლეებს ქიმიის ბიოლოგიის, ფიზიკის გაკვეთილები უტარდებათ ლაბორატორიაში; სადაც განთავსებულია სხვადასხვა რესურსი, რომლის დახმარებითაც მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკული მუშაობა, კვლევის

ჩატარება, მისი შედეგის აღრიცხვა, გაანალიზება და სათანადო დასკვნის გამოტანა. სკოლას მეორე კორპუსს, რომელიც მდებარეობს ბაგრატიონის ქ. N121აქვს ბიბლიოთეკა,აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის პირველი კორპუსიდან მეორე კორპუსში მისასვლელი მანძილი არ არის შორი, დაახლოებით სამი წუთის სავალია, რაც გულისხმობს იმას რომ ორივე კორპუსის მოსწავლეებისათვის თანაბრად ხელმისაწვდომია, თუმცა სკოლას არ აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი შემუშავებული, რესუსრსი არ არის ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის, მათ არ აქვთ საბიბლიოთეკო წესისის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი. ფაქტობრივად, დაწესებულებაში ბიბლიოთეკა არ ფუნქციონირებს. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის ოთახი, არის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი. სკოლას პირველი კორპუსის ეზოში აქვს გარე სპორტული მოედანი, რომელიც მოსაწესრიგებულია, არის შემოღობილი , არ აქვს ხელოვნური საფარი. გარე სპორტულ მოედანს ვერ იყენებს დაწესებულება, რადგან მეორე შენობაში დროებით განთავსებულ საჯარო სკოლას ემსახურება ტრანსპორტი, რომელიც გარე სტადიონის მიმდებარედ ჩერდება. დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა 2552 მოსწავლე. სკოლაში სწავლობს 2100 მოსწავლე. ამ ეტაპზე სკოლას მფლობელობაში აქვს 1470 ინდივიდუალური სკამი და მერხი. დაწესებულებას სასწავლო პროცესს წარმართავს ორ ცვლაში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის პირველი და მეორე კორპუსის ინფრასტრუქტურა და საერთო სარგებლობის სივრცეები, გადაამოწმეს მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ექსპერტთა შეფასებით სკოლის ორივე კორპუსის ინფრასტრუქტურა, მათ შორის სივრცეები: ფოიე, დერეფნები, საკლასო ოთახები, რესურს-ოთახები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი-აიტის კაბინეტი, ადმინისტრაციული სივრცე-სამუშაო სივრცე ადმინისტრაციული პერსონალისათვის. სპორტული დარბაზები, რომლებსაც აქვს გასახდელები გამიჯნული გოგონებისა და ბიჭების, სანიტარული კვანძები, გარდა ბიბლიოთეკისა, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის ბიბლიოთეკა მდებარეობს მეორე კორპუსში, რომელიც მცირე მანძილითაა დაშორებული პირველი კორპუსიდან, დაახლოებით სამი წუთის სავალზე ფეხით. სკოლას არ აქვს შემუშავებული ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი, საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად სკოლას არ აქვს დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი შესაბამისად ბიბლიოთეკა არ არის ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.**სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასტან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას 15.06.2024-მდე, შესაბამისად ინდიკატორის შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“.**

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის „მეტწილად შესაბამისია“ სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. 2005 წელს აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით სკოლის ორივე კორპუსს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. ამის შემდეგ სკოლა ლოკალურ შიდა და გარე რემონტებს აკეთებს თავისი ბიუჯეტით. 2021 წელს აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით განხორციელდა სკოლის პირველი კორპუსის (ჯავახიშვილის ქ. N66) ფასადის რესტავრაცია, გამოიცვალა სახურავი, დამონტაჟდა შშშმ პირების ლიფტები. 2022 წელს აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით გამოიცვალა სკოლის მეორე კორპუსის (ბაგრატიონის ქ. N121) სახურავი .აქვთ საკმარისი ინდივიდუალური მერხები, სკოლის 2 რესურსოთახი (ორივე კორპუსში) აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, გასახდელებით. სკოლის პირველ კორპუსს აქვს პანდუსი, რომლითაც საშუალება აქვს ეტლით მოსარგებლეს შევიდეს შენობაში. შენობა აღჭურვილია ლიფტით შშმ პირთათვის.მეორე კორპუსში არ არის პანდუსი, არ არის ლიფტი. სკოლის პირველ კორპუსში პირველ და მეორე სართულზე არის ადაპტირებული საპირფარეშო და სველი წერტილი.ხოლო მეორე კორპუსში სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული, არის მხოლოდ პირველ სართულზე. სკოლის შენობას აქვს ფართო დერეფნები. **სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასტან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას 15.09.2024-მდე, შესაბამისად ინდიკატორის შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“.**

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის „მეტწილად შესაბამისია“ სტანდარტის მოთხოვნებთან.

4.სკოლაში არის სასიამოვნო გარემო. შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა, სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს.სკოლის ორივე კორპუსის ფართო ნათელი დერეფნები, კეთილმოწყობილი მოსასვენებელი სივრცეები, კომპიუტერული ლაბორატორია ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლა გეგმავს და ახორციელებს სასწავლო პროექტებს. მოსწავლეებისთვის შექმნილია ყველა პირობა, რომ ჰქონდეთ სკოლაში ყოფნის სურვილი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას აქვს მატერიალურ ინფრასტრუქტურული რესურსი, სკოლა ორცვლიანია და საგაკვეთილო პროცესისათვის საჭირო პირობებს აკმაყოფილებს. სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლას აქვს ორი კორპუსი, პირველი კორპუსი (ჯავახიშვილის ქ. N66) და მეორე კორპუსი (ბაგრატიონის ქ. N121) ოთხსართულიანია, შენობა არის გარემონტებული, საკლასო ოთახები განლაგებულია შენობების ოთხივე სართულზე, საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, ორი სასკოლო დაფით, მასწავლებლის მაგიდით, კარადით, ტანსაცმლის საკიდით და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით. სკოლის სპორტდარბაზები ორივე კორპუსში აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, კერძოდ, ფეხბურთისა და კალათბურთის ბურთები, ჭადრაკი, ბადმინტონი. სკოლის კომპიუტერული ოთახი (პირველი კორპუსი) აღჭურვილია ინტერნეტქსელში ჩართული 38

კომპიუტერით, სპორტული დარბაზი აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. სკოლას აქვს სამივე საფეხურის სასკოლო ინვენტარი. ყველა საკლასო ოთახში განლაგებულია დაფა, მასწავლებლის მაგიდა, კარადა - არის ბუნებრივი განათება. დაწესებულება უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით, ასევე დამატებითი მასალებით: რუკებით, თვალსაჩინოებებით. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია მხოლოდ პირველ კორპუსში, რომელიც მდებარეობს ჯავახიშვილის ქ.N66,დაწესებულებას ორივე კორპუსში აქვს კომპიუტერებით აღჭურვილი ოთახი, სკოლას აქვს 3 პროექტორი, 65 კომპიუტერი, 3 ლეპტოპი, მასწავლებლის ლეპტოპი (ბუკი 38), რაც ამ ეტაპზე აკმაყოფილებს მოსწავლეთა რაოდენებას.

სკოლას ეზოში აქვს გარე სპორტული მოედანი, რომელიც არ არის მოწესრიგებული, არის შემოღობილი თუმცა საფარს სჭირდება განახლება. სპორტული მოედანი გათვლილია ფეხბურთისა და კალათბურთისათვის და აღჭურვილია შესაბამისად, თუმცა ამ ეტააპზე არ ფუნქციონირებს. სკოლას აქვს შიდა სპორტული დარბაზი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ✓ შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზი;
- ✓ ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ✓ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მთლიანობაში, ინტერნეტში ჩართული 106 კომპიუტერი. სკოლაში არსებული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გამოყენებით წარმატებით ხორციელდება სწავლა/სწავლების პროცესი, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერების გამოყენებით წარიმართება სასწავლო პროცესი და კოლეგების სამუშაო შეხვედრები. კომპიუტერთან მუშაობა შეუძლია ნებისმიერ პირს, ვისაც აქვს შესაბამისი უნარ-ჩვევები. დაშვებულია: ტექსტების შეყვანა და რედაქტირება; ინტერნეტით მასალების მოძიება და გადმოწერა; ელექტრონული ფოსტით სარგებლობა.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
2. დაწესებულებას შექმნილი აქვს დოკუმენტი, რომლითაც განკარგავენ არსებულ ტექნიკას. შექმნილია სამუშაო სივრცეები პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის. მატერიალური რესურსის განკარგვის წესით რეგულირდება ტექნიკის გამოყენება. სკოლაში გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს გრაფიკის შესაბამისად ინფრასტრუქტურით სარგებლობას. სკოლაში მოსწავლეებისა და პერსონალის მხრივ გამოიყენება პროექტორები - პრეზენტაციის, ფილმებისა და სლაიდშოუს ჩვენებისას.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ✓ ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამის საქმის წარმოების წესი. სკოლაში შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით იწარმოება საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვა სახის გადაწყვეტილებები). სკოლაში ასევე წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. მასწავლებელთა სტატუსის ცვლილებისას ან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში იდება ახალი ხელშეკრულება, ხოლო სხვა სახის ცვლილებისას კეთდება შეთანხმება, რომელიც ეხება ხელშეკრულებას. მოსწავლეთა პირადი საქმეები მატერიალურად ივსება პირველ კლასში. მასში განთავსებულია მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია და აკადემიური მოსწრება. მობილობის შემთხვევაში პირადი საქმე ფოსტით ეგზავნება შესაბამის სკოლას. დაწესებულებას სკოლის დირექტორის 2023 წლის 09 სექტემბრის #01-03/169 ბრძანებით დამტკიცებული აქვს საქმიწარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ,

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, დოკუმენტაციის წარმოებისთვის აქვს E-flow და E-school-ის ბაზა, რომელთა მოხმარებაც შეუძლია სკოლის ყველა თანამშრომელს პირადი მომხმარებლის და პაროლის საშუალებით. სკოლა იყენებს ელექტრონულ ფოსტას. სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი (onlineschool.emis.ge). შემოსული და გასული კორესპონდენციის,

ასევე ბრძანებების ატვირთვა ხდება eflow-ში. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. ვიზიტისას ადგილზე გადამოწმდა სკოლის eschool-ის ბაზა. სკოლას სრულყოფილად აქვს ყველა საჭირო მონაცემი ასახული. ყველა საჭირო მონაცემი სწორია და შეესაბამება არსებულ რეალობას. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულებაში ვიზიტისას გადამოწმდა eflow-ში რამდენიმე შემოსული კორესპოდენცია, რომელზეც დაწესებულებამ წარადგინა პასუხი. თითოეულ შემთხვევაში სკოლას დროულად ჰქონდა მიწოდებული ინფორმაცია რესურს ცენტრისთვის. ასევე ვიზიტისას წარმოადგინეს ფინანსური ანგარიგების ამსახველი დოკუმენტების წარდგენის დამადასტურებელი წერილები, სამეურვეო საბჭოსთან წარდგენილი ანგარიშები. საქმისმწარმოებელმა აღნიშნა, რომ შემოსულ განცხადებებზე, როცა რაიმე ტიპის ინფორმაციის გამოთხოვას ეხება, უკუკავშირი ხდება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საქმისწარმოების წესი;
- ✓ სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- ✓ გატარების ჟურნალები;
- ✓ ერთიანი ელექტრონული სისტემა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სკოლის ვებგვერდისა და სოციალური გვერდის, Facebook-ის საშუალებით, კლასის დამრიგებლებს შექმნილი აქვთ სადამრიგებლო კლასებთან ურთიერთობისათვის მესენჯერ-ჯგუფები, ელექტრონული პლატფორმა Microsoft Teams საკლასო ჯგუფები, რომლის დახმარებითაც მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს უზრუნველყოფილი აქვთ ურთიერთობები საჭიროებისამებრ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

1. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხიმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეს. შესაბამისად, ყველა ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება მოსწავლეთა მშობლებს, ქვეყნდება ოფიციალურ ვებგვერდზე, საინფორმაციო დაფაზე ან/და სოციალური ქსელის ოფიციალურ კედელზე, შეთანხმებული, შეჯერებული და ნებადართულია სკოლის ადმინისტრაციის მიერ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი (22.09.2023 #01-03/170). წინამდებარე წესი განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს და მათი ჩატარების გზებს, აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს და ელექტრონული ფოსტის მართვის პრინციპებს. წესი ითვალისწინებს აღნიშნული მიმართულებით დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის გამოყენებას თავისი საქმიანობის

გაუმჯობესების მიზნით. სკოლა სოციალური ქსელის საშუალებით აზიარებს საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას. იღებს უკუკავშირს მშობლებისა და მოსწავლეებისგან. ექსპერტთა შეფასებით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლაში სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე.

ექსპერტთაბაეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა,სტრატეგიული გეგმა, წლიური სამოქმედო გეგმა, პროგრამები, მხარდაჭერის მექანიზმები, ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმები, საკონტაქტო ინფორმაცია.**

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი
- ✓ სკოლის Facebook გვერდი.
- ✓ სკოლის ვებგვერდი;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული ბიუჯეტზეა ორიენტირებული სკოლის 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა. სკოლის ფინანსური რესურსის ძირითადი ნაწილი, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრისშესახებ“ N476 დადგენილების მიხედვით, უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომლის მოცულობა განისაზღვრება სკოლის მოსწავლეთა რაოდენობით. არსებული მდგომარეობით, სკოლას აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი დადგენილი წესის მიხედვით შეუფერხებლად წარმართოს სასწავლო პროცესი და უზრუნველყოს აუცილებელი ფინანსური ხარჯები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. ინვენტარისა თუ სხვა სახის საგნების შეძენის საჭიროების შემთხვევაში სკოლის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი მიმართავს დირექტორს მოხსენებითი ბარათით, რომელშიც აღწერილია საჭიროება და ბაზრის კვლევა. ყველა საჭირო პროცედურის დაცვით ფორმდება დოკუმენტაცია(ხელშეკრულება, ანგარიშფაქტურა მიღება–ჩაბარების აქტი) და ხდება შესყიდვა. მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორის ანგარიშით ფინანსურ საკითხებზე, რომელსაც იგი წარუდგენს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს. სკოლის ბიუჯეტი ყველასთვის ცნობილია. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტი;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის დოკუმენტი და სკოლის შინაგანაწესი. მასში გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოდექსი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები. გარდა ამისა, მოსწავლეთა და მასწავლებლის ეთიკის კოდექსი

არეგულირებს მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებულ უფლებებს. მოსწავლეთა უფლებებს იცავს სკოლაში არსებული მოსწავლეთა თვითმმართველობაც. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სკოლის დირექციის წარმომადგენლები ვალდებულნი არიან სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, უზრუნველყონ მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა ყველა მოსწავლისათვის, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით. მოსწავლეთა უფლებები და წესები, რომლის გაცნობაც ხორციელდება სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, სკოლას აქვს ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება მოსწავლის კანონიერ წარმოადგენელსა და დაწესებულებას შორის. შესაბამისად მოსწავლის უფლებების დაცვის გარანტად შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული ხელშეკრულება.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ასევე ხელშეკრულებას ეცნობა, როგორც კანონიერი წარმომადგენელი, ისე სკოლის პერსონალი. აღნიშნული რეგულაციები არის გამჭირვალე, არ არის ორაზროვანი და არ იძლევა ინტერპრეტირების შესაძლებლობას. შინაგანაწესი გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სკოლა მოსწავლეებისთვის აწყობს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას, რაც გულისხმობს სხვადასხვა აქტივობების ჩატარებას. სკოლის შინაგანაწესს პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. აღნიშნული ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას, როგორც მოსწავლის ვალდებულებების, ისე უფლებების შესახებ. ასევე მოიცავს ინფორმაციას მხარეთა შესახებ, ხელშეკრულების ნომერს, გაფორმების თარიღსა და ადგილს, ხელშეკრულების საგანს. წარმოდგენილი დოკუმენტი სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ხელშეკრულებები;
- ✓ შინაგანაწესი;
- ✓ მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხის რეგულირებისას ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვასთან და სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებული წესი. აღნიშნული წესი თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან ზოგადი განათლების შესახებ კანონთან, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებასთან, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებასთან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. დაწესებულება მოქმედებს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, ასევე სკოლის მიერ დადგენილი წესის თანახმად. ვიზიტისას შესწავლილ იქნა სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული

სამართლებრივი აქტები, ასევე ჩატარდა გასაუბრება საქმისმწარმოებელთან. დაწესებულებას მოსწავლის ჩარიცხვას და სხვა პროცედურებს ახორციელებს ზედმიწევნით ზუსტად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი; დამატებითი მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის შესახებ აღნიშნული ინფორმაციები დაინტერესებულ პირებს მიეწოდებათ სხვადასხვა არხებით: აღნიშნული ინფორმაციები საჯაროდაა გამოკრული სკოლის ფოიეში პირველ სართულზე თვალსაჩინო ადგილას, რაც მოსწავლისა და მშობლისათვის ხელმისაწვდომია. ასევე მშობელთა კრებებზე კლასის დამრიგებლები მიაწვდიან ინფორმაციას მშობლებს არსებული სერვისებისა და პირობების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციები განთავსდება სკოლის სოციალურ გვერდზე. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით სკოლაში მოქმედებს დებატ-კლუბი. სკოლის მხრიდან არაფორმალური განათლების აქტივობების შეთავაზება მოხდება მოსწავლეთა და მშობლების გამოკითხვის საფუძველზე.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულება ინფორმაციის გაზიარების მიზნით იყენებს, როგორც ოფიციალურ ვებგვერდს, ასევე სოციალურ ქსელს. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად და თანაბრად წარმოაჩენს ყველა ბავშვის უფლებებსა და შესაძლებლობებს. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა სკოლის ოფიციალური ფეისბუქ-გვერდი, მასზე განთავსებული ინფორმაცია იყო უტყუარი, შესაბამისობაში მოდიოდა კანონმდებლობასთან და არ შეიცავდა რაიმე ტიპის დისკრიმინაციას. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას განაცხადეს, რომ ყოველთვის სიფრთხილით ეკიდებიან ინფორმაციის გაზიარებას, ხდება დაზუსტება და გადამოწმება და მხოლოდ მას შემდეგ აწვდიან ინფორმაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს. სკოლა იმყოფება პირველადი ავტორიზაციის პროცესში, მომდევნო სასწავლო წლისთვის არსებული პროგრამების , სერვისების და აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას გეგმავს გამჭვირვალეობის პრინციპით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების აღმწერი დოკუმენტი;
- ✓ სკოლის სოციალური გვერდი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომლითაც გასაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. განსაზღვრულია დეზადაპტაციის შემთხვევაში განსახორციელებელი ღონისძიებები. დოკუმენტში ასევე გაწერილია პირველკლასელთა ადაპტაციის მექანიზმი, რომლითაც

გაწერილია ის აქტივობები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ტრანზაციის პერიოდში. მე-5 მუხლი არეგულირებს სსსმ მოსწავლეების ადამპტაციას სასკოლო გარემოსთან. სკოლა ყველა მშობელს სასწავლო წლის დაწყებამდე აცნობს, თუ რა ფორმით შეუძლიათ სკოლისთვის ინფორმაციის მიწოდება ბავშვის ჯანმრთელობის, მდგომარეობის თუ სამედიცინო დიაგნოზის შესახებ, ასევე სპეციფიკური საჭიროებების შესახებ, რაც სწავლებას და ბავშვის საგაკვეთილო პროცესში ჩართვას უკავშირდება. მეორე მხრივ, სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას იმ სერვისების შესახებ, რომლებსაც სკოლა ბავშვებს და მის მშობლებს სთავაზობს. სკოლის დირექცია ახორციელებს მონიტორინგს ტრანზაციის პროცესზე და ახდენს მშობელთა ინფორმირებას იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება ბავშვის წინასასკოლო უნარებსა და სასკოლო ადაპტაციას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა უზრუნველყოფს სამომავლოდ მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. კლასის ხელმძღვანელებს ფუნქციებში გაწერილი აქვთ ზრუნვა მოსწავლეთა წამოჭრილ საჭიროებებზე და მხარდაჭერა. სწავლის დაწყებამდე მასწავლებლები ეცნობიან მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას პირადი საუბრებისა და ინტერვიუების საშუალებით, სთავაზობენ მათზე მორგებულ საგანმანათლებლო მომსახურებას. სკოლის ინფრასტრუქტურა გამოყენებულია სასწავლო პროცესის ეფექტიანად განხორციელების რესურსად.

ექსპერტთა შეფასებით,სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

3. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების მიხედვით სკოლა მზადაა სათანადო კონსულტირება გაუწიოს მოსწავლეს მისი მიღწევების გასაუმჯობესებლად, რისთვისაც გამოიყენებს მოსწავლეთა თვითშეფასების ინსტრუმენტებს და რემედიაციულ პროცესებს. მასწავლებლები გაანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს და შეიმუშავებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა სტრატეგიებს (უკუკავშირი, მოსწავლის თვითშეფასების ფორმა და ა.შ.). მოსწავლის აკადემიურ შედეგებზე რეგულარულად ხდება ინფორმაციის მიწოდება მშობლებისთვის ელ. ჟურნალის, სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების და სხვა საშუალებით.

ექსპერტთა შეფასებით, მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად..

4. ვიზიტისას დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებისთვის სხვადსხვა ტიპის მხარდაჭერას უწევენ მყისიერად ზეპირი მოთხოვნის საფუძველზე. ზოგიერთი სახის მხარდაჭერა ხორციელდება მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის წერილობითი საფუძველზე. მტკიცებულების სახით წარმოდგენილ იქნა მშობლის განცხადება ცნობის გამოთხოვის შესახებ, რომლის საფუძველზე დაწესებულებამ უმოკლეს პერიოდში გასცა ცნობა..

ექსპერტთა შეფასებით, სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.

5. სკოლაში შემუშავებულია მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები. ამ დოკუმენტით განსაზღვრულია მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმის პრინციპები: მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესისა და სასკოლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა. თანაბარი გარემოს შექმნა ყველა მოსწავლისთვის საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისა და წარმატების მისაღწევად, მოსწავლეებში სოციალური წარმატებისა და თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავება, მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების ხელშეწყობა. სკოლისთვის პრიორიტეტულია მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა.სკოლაში აქტიური კლუბია შექმნილი დირექტორის ბრძანებით, აქვს კლუბის მუშაობის წესდება შემუშავებული, სამუშაო გეგმა.მოსწავლისთვის ფორმალურ განათლებასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლება, ამ მხრივ სკოლის მიერ ხორციელდება აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი უნარების გამოვლენას. რაც შემდგომში მოსწავლეს უვითარებს ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სისტემური აზროვნების, სოციალურ და თანამშრომლობით უნარებს. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე თეორიულ ცოდნასთან ერთად იძენს პრაქტიკულ გამოცდილებას. აქტივობები: 1. კლუბები, წრეების (სახელოვნებო, სპორტული, შემოქმედებითი) მუშაობა, სადაც მოსწავლეები გაერთიანებულების არიან ინტერესის სფეროების მიხედვით. ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში სკოლამ განახორციელა სამი მსხვილი სოციალური პროექტი: 1. კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება (ტოლერანტობა) 2. „გავერთიანდეთ კონფლიქტის წინააღმდეგ“. 3. „ჩვენ ერთად შევძლებთ“ აღნიშნული პროექტების ფარგლებში განხორციელდა ისეთი საინტერესო აქტივობები, როგორიცაა ფილმების ჩვენება, დებატები, ვიქტორინები, სემინარები და ვებინარები, მოსწავლეები ქმნიდნენ საინტერესო რესურს ფლაერების, ბროშურების, ვიდეო რგოლების სახით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სხვადასხვა აქტივობებთან დაკავშირებით მუდმივად ხდება მოსწავლეთა ზეპირი გამოკითხვა, რომლის საფუძველზეც ხდება სამომავლოდ ცვლილებების განხორციელება და მომსახურების დახვეწა. დაწესებულება სოციალური ქსელის საშუალებით მუდმივად ათავსებს ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე თუ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. შესაბამისად, იღებენ მშობლებისა და მოსწავლეებისგან უკუკავშირს და ყოფილა შემთხვევები, როცა დაწესებულებას მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაუხვეწავს საქმიანობა და ცვლილება შეუტანია პროცესში. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის მექანიზმს, რომელიც შემდგომში გამოიყენება საქმიანობის გასაუმჯობესებლად. სკოლაში სტრატეგიული გეგმის

შემუშავებამდე მოხდა საქმიანობის შეფასება და სკოლამ შეიმუშავა კითხვარები მშობლებისა მოსწავლეებისთვის. დაწესებულებამ წარმოადგინა კვლევის ანალიზი, რომელშ გაანალიზებულია მოსწავლეთა და მშობლეთა უკუკავშირები. სკოლამ შემდგომი დაგეგმვის პროცესში გამოიყენა უკუკავშირის შედეგად მიღებული შეფასება.

ექსპერტთა შეფასებით მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმის დოკუმენტი;
- ✓ მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის დოკუმენტი.
- ✓ ფოტომასალა;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია ყველა პირობა მოსწავლეებისთვის, იმისათვის, რომ საბაზო განათლების მიღება, როგორც სავალდებულო, იყოს ხელმისაწვდომი. გარდა ამისა სკოლა ფიქრობს და ზრუნავს მათ მომავალ საქმიანობაზე,სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლაში სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებელთან, უმაღლეს სასწავლებელთან ეწყობა ღია კარის

დღეები, მოსწავლეთა ინფორმირებულობის მიზნით. სკოლის მიერ დაგეგმილი პროფორიენტაციის ამოცანებია: დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების გამოვლენაში; გააცნოს მოსწავლეს პროფესიათა სამყარო, ცალკეული პროფესიის თავისებურებანი და ის მოთხოვნები. რომელსაც იგი უყენებს მომუშავეს, აგრეთვე ამ პროფესიით დასაქმების შესაძლებლობანი; დაეხმაროს მოსწავლეს კონკრეტული პროფესიის სწორედ არჩევაში. სხვადასხვა პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით, მოსწავლეებისთვის სკოლამ ჩაატარა რამდენიმე პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოიწვიეს სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც არინ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები. ბავშვებს კითხვების საშუალებით შეეძლოთ დამატებითი ინფორმაცია მიეღოთ ამ პროფესიების პრაქტიკულ მხარეზე. სკოლა გეგმავს საინფორმაციო შეხვედრები გამართოს მშობლებთან, სადაც გააცნობენ რეგიონში რა უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლებია და რა არის მათ მოთხოვნები. სკოლა გეგმავს სკოლაში სხვადასხვა უნივერსიტეტებისა თუ პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლების მოწვევას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულება კლასის დამრიგებლების მეშვეობით მუდმივად აწვდის კარიერული დაგეგმვის შესაძლებლობების შესახებ როგორც მშობლებს მშობელთა კრებებზე, ასევე მოსწავლეებსაც მიეწოდებათ ინფორმაცია სადამრიგებლო საათის და ინდივიდუალური შეხვედრებისას. სკოლის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე და დოკუმენტბრუნვის სისტემაში შემოსულ ინფორმაციას, სიახლეებს საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ღია კარის დღეების ჩატარების შესახებ, კონკრეტულ პროგრამებზე ლექციებზე დასწრების შესახებ და ა.შ. დირექცია აწვდის შესაბამისი კლასების დამრიგებლებს, რომლებიც, თავის მხრივ, აცნობენ სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებსა და მშობლებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. აღნიშნული მონაცემები განიხილება საგნობრივ კათედრებზე და იგეგმება საჭირო ინტერვენციები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა/კურიკულუმი;
- ✓ სადამრიგებლო პროგრამა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები და ასევე მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომლებიც შესაბამისობაშია ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან. მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციაში აღწერილია სსსმ მოსწავლეთა ჩართვა საგანმანათლებლო სივრცეში, მათი მხარდაჭერა, დამხმარე პროცესები. შემუშავებულია მონიტორინგის სისტემაც. ამჟამად სკოლაში ირიცხება 53 სსსმ მოსწავლე,; სკოლამ სასწავლო წლის დასაწყისში (სექტემბრის თვეში) შეიმუშავა ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა , რომელშიც ასახულია თვალნათლივ სკოლის როლი და ფუნქცია ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განვითარების კუთხით. დაწესებულებას აქვს სათანადოდ აღჭურვილი რესურს ოთახი. აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით (ადაპტირებული მაგიდა, სკამი, სხვადასხვა სასკოლო რესურსი, კომპიუტერი), რაც ხელს უწყობს სსსმ და შშმ მოსწავლეების სწავლის პროცესი წარმატებით და შეუფერხებლად წარიმართოს. ასევე სკოლას გააჩნია სათანადოდ მოწყობილი ინფრასტრუქტურა ~, დამონტაჟებულია ორთავე კორპუსში ლიფტი, არის ადაპტირებული სველი წერტილები. სსსმ მოსწავლის სწავლა - სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად, სპეციალური მასწავლებელი მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე ქმნის ინტერვენციის გეგმსა, რომელსაც სათანადოდ იყენებს ბავშვთან მუშაობის პროცესში, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ცოდნის გაღრმავებას) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით, სკოლის ადმინისტრაციის ბრძანების საფუძველზე იქმნება ისგ ჯგუფი., რომელიც სსსმ მოსწავლეებისათვის უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში ჩართულია მშობელი. ისგ ჯგუფის მიზანია სასწავლო პროცესი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული და მორგებული, მაქსიმალურად იყოს

გათვალისწინებული მოსწავლის შესაძლებლობები, ინტერესები და საჭიროებები, სწავლა - სწავლების პროცესი მიმდინარეობდეს ისე რომ თითოეული მოსწავლის მიმართ დასახული მიზნები რელევანტური და მიღწევადი იყოს. სკოლას შემუშავებული აქვს მონიტორინგის სისტემაც. ისგ-ის ჯგუფის წევრები განიხილავენ სსსმ მოსწავლეების საგანმანათლებლო პროცესს, გამოწვევებს, სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას. ამ მექანიზმებით გაანსაზღვრული სამუშაო პროცესი ადასტურებს, რომ სკოლას გააჩნია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის ეფექტიანი მექანიზმები. **ექსპერტების შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწესებულებაში კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროა. სკოლაში ყველა პირობაა იმისათვის, რომ სასკოლო საზოგადოება ჩაერთოს და ითანამშრომლოს იმ მიზნით, რომ სსსმ მოსწავლეების ადაპტირება გარემოსთან იყოს უმტკივნეულო და წინააღმდეგობების გარეშე.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1,2 .3სკოლის მიერ შეთავაზებული არ არის დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება.

1. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია და სკოლა მზადაა მოსწავლეების შესთავაზოს არასავალდებულო, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. აღნიშნული მომსახურეობა განხორციელდება ნებაყოფლობითი პრინციპების გათვალისწინებით, წინასწარი ზეპირი გამოკითხვისა და მშობელთა მომართვიანობის საფუძველზე, თუმცა ამ ეტაპზე სკოლას არა აქვს მოქმედი კლუბები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

დაწყებითი საფეხური

□□□□□□□□□□ 2	□□□□□□□□□□ □□□□□□ □□□□□□□□□ *(□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □□□□ □□□□□□□□□□□□ □□ □□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□)*
□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ (□□□□□□□□□□ □□□□□□□□□)	■ □□□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □ □□ □□□□□□□□□□□□
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ □□□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □ □□ □□□□□□□□□□□□
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ □□□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □ □□ □□□□□□□□□□□□
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ □□□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □ □□ □□□□□□□□□□□□
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ □□□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □ □□ □□□□□□□□□□□□

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას. აღნიშნულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) ინტერესები და შეხედულებები არის გათვალისწინებული. აზრთა გაზიარება, ინტერესებსა და შეხედულებებზე მსჯელობა მიმდინარეობს კათედრებზე, მშობელთა კრებებზე და საჭიროების შემთხვევაში სოციალური ქსელის მეშვეობით. მასწავლებლები, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს ითვალისწინებენ გასული წლის გამოცდილებასაც, მიღებულ შედეგებს კი იყენებენ კურიკულუმის შემუშავების დროს. მეთოდოლოგიის მიხედვით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში საგნობრივი კათედრები განიხილავენ საგნის პედაგოგების მიერ შემუშავებულ ახალ საგნობრივ კურიკულუმებს წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებენ მოდიფიცირებას. ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული სკოლის დირექცია და ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი. პედაგოგები სასკოლო კურიკულუმის შექმნასთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ ინფორმაციას აწვდიან მშობლებს პირისპირი შეხვედრებითა და მშობლის ბარათებით. კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გასული წლის სამუშაო პროცესს რეფლექსიებითა და მიგნებებით აჯამებენ, შემდეგ კი ანალიზის საფუძველზე მიღებულ შედეგებს გამოიყენებენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების დასაგეგმად.

ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. თითოეული საგნობრივი მიმართულებით აღნიშნულია, რომ კურიკულუმი შედგენილია მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. საგნობრივმა ჯგუფებმა ერთობლივი მუშაობით, მშობელთა ინტერესების, მოსწავლეთა ასაკობრივი დონისა და აკადემიური უნარების გათვალისწინებით, გეგმავენ და ახორციელებენ სასკოლო ღონისძიებებს (საახალწლო, დედის დღისადმი, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი, სასწავლო წლის დასასრულთან დაკავშირებული). კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები. მოსწავლის როლი წამყვანია კურიკულუმების განვითარებაში, რომლებშიც ჩაშენებული ყველა აქტივობა ეფუძნება მოსწავლეების უკუკავშირს, გამოცდილებას, ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, თვითშეფასებას და ურთიერთშეფასებას, ამ პროცესის მხარდამჭერია სკოლა, როგორც ერთიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პოზიტიურ სასკოლო კლიმატს და ხელს უწყობს მოსწავლეების ინიციატივებისა და იდეების განხორციელებას.

ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კათედრის წამომადგენლები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ კათედრები, კათედრის წევრები ერთობლივად აანალიზებენ მიღწეულ შედეგებს და განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობებს, განსაზღვრავენ რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში და ერთობლივად შეიმუშავებენ შეფასების ინსტრუმენტებს. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რაც გამოვლინდა მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად: კათედრის წევრების უმრავლესობას აქამდე არ ჰქონიათ კომპლექსური დავალებების შედგენისა და დაგეგმვის გამოცდილება, თუმცა წინა სასწავლო წლის მიწურულს მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენიგებზე მიღებული გამოცდილებით და ურთიერთმხარდაჭერით ახალი სასწავლო წლისათვის დაგეგმეს და მოამზადეს მატრიცები კომპლექსური დავალებებისათვის, თანხმდებიან, რომელ კომპლექსურ დავალებებს გამოიყენებენ დასამუშავებელი თემის ფარგლებში. ინდიკატორს ადასტურებს ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის, კათედრის, ადმინისტრაციის როლი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა დაადასტურეს კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობა, რის მიხედვითაც იგეგმება მიზნობრივი აქტივობები. ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულუმის განვითარებაში.

ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. ყველა საგნობრივი მიმართულებით აღნიშნულია, რომ კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრებთან, კათედრები აქტიურად მუშაობენ ამ კუთხით, აფასებენ განვლილ სასწავლო პროცესს და გეგმავენ მიზნობრივ აქტივობებს, აზიარებენ კურიკულუმებისა და კომპლექსური დავალების იდეებს.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ასახულია ისეთი მექანიზმები, რომლებიც კიდევ უფრო ამარტივებს კურიკულუმების გაზიარებას სასკოლო საზოგადოებაში. ინტერვიუსას აღნიშნეს მასწავლებლებმა,რომ ატარებენ მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრებს, უგზავნიან ჯგუფებში მშობლის ბარათებს, წინასწარ აცნობენ, თუ რა რესურსები დასჭირდებათ ბავშვებს სასწავლო წლის განმავლობაში დავალებებზე მუშაობის დროს. სახელმწიფო ენის კათედრის წევრებმა ასევე აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან ისინი აპირებენ კითხვარების ელექტრონული ფორმა შექმნან სპეციალურად მშობლებისთვის, მიაწოდონ კომპლექსური დავალების იდეები და მათი უკუკავშირი გაითვალისწინონ კურიკულუმების შემუშავებისას. ინდიკატორს ადასტურებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაც, სადაც აღნიშნულია, რომ კურიკულუმი ზიარდება კათედრებზე, მასწავლებლებს შორის და მშობელთა კრებებზე.

ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ პედასბჭოს ოქმი;
- ✓ მშობელთა კრების ოქმი;
- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ მოწოდებულ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი ყველა საგანში არის პროცესზე ორიენტირებული პროგრამა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება და აღიარებს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის წარმმართველ ძალას. წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომლებშიც გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება, კურიკულუმების ჩარჩო ძირითადად აგებულია მიწოდებული მატრიცებისა და კომპლექსური დავლაებების ნიმუშების მიხედვით. დაწყებითი საფეხურის თემატურ ბლოკებში წარმოდგენილია ის შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და შეესაბამება ენობრივი ცოდნის დონეს. მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებული აქტივობები მიმართულია მოსწავლეთათვის სასწავლო საგნობრივი შედეგებისა გაუმჯობესებისკენ. შემუშავებულ კურიკულუმშიკომპლექსური დავალებები ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გახსენებას, ცოდნათა ურთიერთკავშირს და ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევ შედეგებს. თუმცა იყო რიგი უზუსტობებიც მაგ: საგან მე და საზოგადოებაში თემა არასწორადაა შეტანილი წერია სკოლა მეგობრები თანატოლები და უნდა ეწეროს სასკოლო გარემო მეგობრები თანატოლები. მე-4 კლასის მე და საზოგადოების კურიკულუმის ჩარჩო ცხრილში ასევე ჩაშენებულია თემატური მატრიცა, სადაც ძველი სამიზნე ცნების ,,დაგეგმვა“ - ,,გეგმა“ დამახინჯებული ვარიანტია შემორჩენილი, შესაბამისად არასწორადაა ფორმულირებული კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებიც.

ჩვენი საქართველოში მეხუთე კლასის კურიკულუმის ჩარჩო ცხრილი არ არის გაზიარებული.ექსპერტების მიერ გაიცა რჩევა:

საჭიროა სკოლამ შეიმუშავოს და გააზიაროს მე-5 კლასის ჩვენი საქართველოს კურიკულუმის ჩარჩო ცხრილი, კომპლექსური დავალებების შესაბამისი განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბირკებით, ხოლო მეექვსე კლასის კურიკულუმში სავალდებულო თემებში ყველა სამიზნე ცნება არ მუშავდება. მე და საზოგადოების მესამე კლასის კურიკულუმში საერთოდ არაა მითითებული კომპლექსური დავალების იდეა. ასევე ბუნებსმეტყველების მასწავლებლებს მიეცათ მითითება, რომ კურიკულუმები შეავსონ სრულყოფლად,ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული სავალდებულო თემებისა და თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპებს გათვალისწნებით.

ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). ეს კარგად ჩანს გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში, დაწყებითი საფეხურის საგნების კურიკულუმი აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით. ყველა თემაში განსაზღვრულია სამიზნე ცნებების დამუშავება, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს განუვითარებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება. აღსანიშნავია, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩოებში სრულად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული საბუნებისმეტყველო საგნების სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. სწორადაა შერჩეული მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენა. კომპლექსური დავალების პირობები შერჩეულია ისე, რომ მოსწავლეებს უვითარებს ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე.

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვება, რომ დიფერენციაციის მიზანია მოსწავლეთა უნიკალური უნარებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევას. გამომდინარე იქედან, რომ დიფერენცირებული სწავლება სასწავლო პროცესის ისეთი ორგანიზებაა, რომელიც გათვლილია თითოეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფების საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე, ხდება პროცესის, შინაარსის და პროდუქტის დიფერენცირება. პედაგოგთა ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ ისინი იცნობენ დიფერენცირებული სწავლების ძირითად მახასიათებლებს, სასწავლო პროცესში, საჭიროების შესაბამისად დიფერენცირებულია სასწავლო მასალა, სასწავლო დრო, სასწავლო რესურსები. სკოლაში დიფერენცირებული სასწავლო მეთოდებისა და სტრატეგიების დასანერგად კათედრაზე ახორციელებენ კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებს, რომლის უკუკავშირის დასტური იქნება მასწავლებლების მიერ ამ მიდგომებით ჩატარებული გაკვეთილები. სკოლაში ფუნქციონირებს ორი რესურსოთახი ორივე კორპუსში, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით, კერძოდ თითოეული სსსმ მოსწავლისათვის შექმნილია ისგ ჯგუფები, ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი პერიოდულობით ტარდება სხდომები. ამ პროცესების დამადასტურებლას დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია ისგ დაწყებით სფეხურზე და სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი. გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ კათედრის წარმომადგენლები კარგად იცნობენ

ინკლუზიური სწავლების მეთოდებს, აცნობიერბენ ინკლუზიური განათლების მნიშვნელობას და სასწავლო პროცესს გეგმავენ შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუში მკაფიოდ გამოვლინდა, რომ, მათი აზრით, განმავითარებელი შეფასება წარმოადგენს სკოლის განვითარების საფუძველს. იგი გულისხმობს მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირებას ყოველდღიურ სასწავლო პროცესში კონკრეტული სასწავლო ცნებებისა და მიზნების შესაბამისად, ასევე გულისხმობს მასწავლებლის მიერ მიცემულ განმავითარებელ კომენტარს, რომელშიც მოიაზრება მიღწევის დონის დაზუსტება, წახალისება და რჩევა. გამომდინარე იქედან, რომ დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება მხოლოდ V კლასის მეორე სემესტრსა და VI კლასში, დაწყებითი საფეხურის პედაგოგები ძირითადად სარგებლობენ განმავითარებელი შეფასებით. სასკოლო პრაქტიკაში იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან

რუბრიკებსა და ინსტრუმენტებს: (ჩანაწერთა დღიური, დაკვირვების სქემები, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების სქემები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, დიაგნოსტიკური ტესტები. კომპლექსური დავალების შესაფასებლად, სკოლის პედაგოგებმა დაიწყეს ესგ-ის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის გამოყენება, რომლის დანერგვა ბოლოდროინდელი პრაქტიკაა და სამომავლოდ გეგმავენ მის სრულყოფას სასწავლო პროცესში. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევა: მასწავლებლებმა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სასურველია შექმნან დაწყებითი საფეხურის ყველა კლასისთვის.

ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. სკოლა არსებული გამოცდილების გათვალისწინებით და მასზე დაყრდნობით შეიმუშავებს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს. მასწავლებელთა მიერ შედგენილ კურიკულუმებში გაწერილია მოსწავლეზე ორიენტირებული შუალედური მიზნები (ჯერ მინიმალური რაოდენობით, გამოცდილების დაგროვებასთან ერთად გაიზრდება წლის განმავლობაში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების დაოდენობა და ხარისხი). ყველა კომპლექსური დავალება შეიქმნება კლასის საჭიროებისა და მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათალისწინებით. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ხარვეზების არსებობის შემთხვევაში მომდევნო სასწავლო წლისთვის მასწავლებელი მიზნის მისაღწევად აუცილებლად დაისახავს ახალ გზებს და დაგეგმავს ახალ აქტივობებს.

ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ ისგ ოქმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; მოსწავლეებს აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ღონისძიებაში, ოლიმპიადებში, სახელოვნებო და სპორტულ აქტივობებში. სასწავლო პროცესში ხორციელდება ისეთი აქტივობები, რომლებშიც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ

ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით, იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. სკოლა მაქსიმალურად ქმნის დაწყებით საფეხურზე მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მიმიდინარე სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები, არის იმის დასტური, რომ სკოლა მოსწავლეს მიმდინარე სასწავლო წელს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. ამას ადასტურებს 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდის მიზნით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები: შიდა სააწავლო პროექტების დანერგვა და მართვა (პრეზენტაციები, კონკურსები, ოლიმპიადები, მიზნობრივი ექსკურსიები), სხვადასხვა სასწავლო ოლიმპიადებში მონაწილეობა. სკოლას აქვს მცირე გამოცდილება კომპლექსური დავლებების განხორციელების, ცდილობდნენ სიახლეებს თავად გასცნობოდნენ და მათი გათვალსიწინებით დაგეგემათ სასწავლო პროცესი. საყურადრებოა მე-4 კლასის მოსწავლეების მონაწილეობით დაგემილი სასწავლო პროექტი „მოვიარე იმერეთი“ და მის ფარგლებში შმეცნებითი ექსკურსია. შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლის გამოცდილება, კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტული სწავლება მოსწავლეებს უვითარებს მაღალ სააზროვნო უნარებს, აღძრავს შინაგან მოტივაციას და უზრუნველყოფს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ინტერვიუს დროს ითქვა, რომ საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილ ეტაპებში მოსწავლე ახალ ცოდნას უკავშირებს წინარე ცოდნას. ეტაპები ისეა გააზრებული, რომ ყოველი ეტაპი საფუძველია მომდევნო ეტაპისათვის, რაც უქმნის მოსწავლეს შესაძლებლობას, რომ მისი გამოცდილება იყოს უწყვეტი. ახალი სასწავლო წლის კურიკულუმები დახვეწილია, გააზრებული და გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე გამოცდილება, რომელიც ეყრდნობა კონსტრუქტივისტულ პრინციპს. მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული ინფორმაცია იძლევა კონსტრუირების შესაძლებლობას რადგან მოცემული სავალდებულო თემები საკითხთა კლასტერი შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ თემებთან, ამდენად, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შემავალი თემები და საკითხები, ასევე საკითხის შიგნით მოცემული აქტივობები ნათლად წარმოაჩენს ცოდნის კონსტრუირების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და

წარმართვისათვის, ახალი ცოდნა მიიღება წინარე ცოდნის გათვალისწინებით. ამ ორი საგნის მაგალითზე შეიძლება ითქვას რომ სკოლა აკმაყოფილებს ახალი ცოდნის კონსტრუირების კომპონენტს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით,ექსპერტების მიერ გაიცა რჩევა:

საჭიროა დოკუმენტაციას დაემატოს მეხუთე კლასის ჩვენი საქართველოს კურიკულუმის ჩარჩო ცხრილი და მოხდეს მესამე კლასის მე და საზოგადოების კურიკულუმის ჩარჩოს სრულყოფა

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. იგი მისცემს მოსწავლეს საშუალებას, დაფიქრდეს სწავლის სწავლაზე და მისთვის ყველაზე მოსახერხებელ გზებს მიაგნოს. სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა, თვითანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ თანამშრომლობით სწავლებას ხშირად მიმართავენ მოსწავლეებთანაც, მაგ. ჯგუფური მუშაობა, როლური თამაშები. კურიკულუმში რამდენიმე კომპლექსურის იდეაში ჩანს, რომ საგნის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად მოსწავლეები ისწავლიან მოდელების, ბუკლეტების შექმნას და შეძენილი ცოდნის გამოყენებას ყოფა -ცხოვრებაში. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში, სასკოლო პროექტში ჩანს, რომ პროცესი ისეა დაგეგმილი მასწავლებლის მიერ, რომ მოსწავლემ განსაზღვროს დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულება, როგორ შეასრულოს დავალება, როგორ მოახდინოს სწავლის პროცესის მონიტორინგი და სწავლის პროცესის დროს თავისი ქცევის სოციო-ემოციური მართვა. კომპლექსური დავალება მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. პედაგოგები მიზანმიმართულად იყენებენ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას; მოსწავლეებს ასწავლიან ძირითად მასალაზე ხაზგასმას, მთლიანი მასალის დანაწევრებას და დანაწევრებული მასალის ათვისებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ზრუნავენ. ეს პროცესი ეხამრება მოსწავლეს თვითსწავლის უნარის განვითარებაში.

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილ თემებსა და კომპლექსურ დავალებების პირობებში ამოიკითხება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეების მხრიდან ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებაზე. კომპლექსურ დავალებები იძლევა ცოდნის სამივე კატეგორიის დაფარვისა და გააქტიურების საშუალებას. მასწავლებლებმა ისაუბრეს სასწავლო მასალის სიღრმისეული შესწავლის, გააზრების მნიშვნელობაზე, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე შემუშავებული კომპლექსური დავალებები ამ მიმართულებითაც გაუადვილებს მასწავლებლებს მუშაობას; საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში. მაგალითად, „მისწერე წერილი ავტორს“, ,,როგორ განვითარდება ისტორია თუ“. უცხო ენის კათედრა ხშირად აწყობს მინიპიესების ინსცენირებას. ამგვარი დავალებები განაპირობებს როგორც დეკლარატიული, ასე პროცედურული და პირობისეული ცოდნის რეალიზებას.

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმებში, ასევე კომპლექსურ დავალებების იდეა/პირობებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება მეტად მნიშვნელოვანია. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. მოსწავლეები მიღებულ ცოდნას პრაქტიკულად იყენებენ სხვადასხვა ტიპის დავალებებში, მათ შეუძლიათ დაინახონ საგანთა შორის კავშირი. 2023-2024 სასწავლო წლისათის დაწყებითი კლასების ყველა დისციპლინაში დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, რომლებშიც გათვალისწინებულია სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის გამოყენება. მასწავლებლებს კურიკულუმის ჩარჩოში სხვადასხვა ტიპის კომპლექსური დავალებები აქვთ წარმოდგენილი, რითაც უზრუნველყოფენ პირობისეული ცოდნის შეძენას და მოსწავლის სხვადასხვა უნარების გაერთიანებას. სასწავლო პროცესში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას. ამ მიმართულებით სადამრიგებლო საათი, არაფორმალური განათლება ხდება დამხმარე საშუალება მოსწავლეების განვითარებისათვის. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.

ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ სასკოლო პროექტი;
- ✓ შემაჯამებელი დავალების ნიმუში/ანალიზის ფორმა;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი კათედრისასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შემოწმებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად აგებულია სამიზნე ცნებების, ქვეცნებების და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააზრებაზე საგნობრივ საკითხებთან მიმართებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ განაცხადში ვკითხულობთ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; ინტერვიურებისას გამოვლინდა, რომ კათედრაზე საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები ერთობლივად ამუშავებენ და გეგმავენ სავალდებულო თემების მიხედვით სასწავლო პროცესს თითოეული კლასისთვის საფეხურის დონეზე. აქვთ კურიკულუმის ჩარჩო, სადაც ჩანს რომელ კლასში, რომელი ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და საკითხები მუშავდება თანდართული შეფასების კრიტერიუმებით. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები (I, II, III, IV, V, VI კლასის კურიკულუმები)

ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. I, II, III და IV კლასის კურიკულუმებს დართული აქვს კომპლექსური დავალების ბარათები და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა III კლასის კურიკულუმს. ასევე, გადმოგზავნილია განმავითარებელეი შეფასების რუბრიკა, რომელიც მიემართება VI კლასის კურიკულუმში გაწერილ კომპლექსურ დაველბას „ბიჭი და ძაღლი“. მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ დაწყებით საფეხურზე გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესი და სასწავლო რესურსები მიემართება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ინდიკატორის 2.2.2.1. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

1. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კურიკულუმების შემოწმებისას იკვეთება, რომ სასწავლო თემა შერჩეულია მოსწავლეებისთვის ნაცნობი კონტექსტის გათვალისწინებით. მასწავლებლები საგნობრივი კურიკულუმის წერისას ითვალისწინებენ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებას, ამიტომაც კომპლექსურ დავალებაში საკითხებს თემის შიგნით მოსწავლეთა ინტერესებისა და მათი პიროვნული განვითარების თვალსაზრისით წარმართავენ. გარდა ამისა, სადამრიგებლო

პროგრამებით კლასის საათის ფარგლებში მოსწავლეებს სთავაზობენ ისეთ თემებს, რომლებიც მათ პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს. მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარების მიზნით იგეგმება და ხორციელდება გასვლითი ღონისძიებები და აქტივობები მშობელთა ჩართულობით. პრიორიტეტულია ისეთი თემები, როგორებიცაა: მეგობრობა, ემპათია, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ამრიგად, მასწავლებლები ყოველთვის ორიენტირებული არიან მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე, ხოლო სასწავლო პროცესს აფუძნებენ ესგ-ის გრძელვადიან მიზნებზე. შექმნილი აქვთ პოზიტიური, მოწესრიგებული სასწავლო გარემო, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს თავი იგრძნოს დაფასებულად და აღიარებულად, პედაგოგები ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ, ფიზიკურ, ფსიქო-ემოციურ მახასიათებლებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს.

ინდიკატორის 2.2.2.2. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სკოლის მიერ გადმოგზავნილი შეფასების რუბრიკების მიხედვით ჩანს, რომ დაწყებითი საფეხურისათვის შემუშავებული შეფასების ფორმები და ინსტრუმენტები მოსწავლეს ჰოლისტურ განვითარებაზეა ორიენტირებული. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. მოსწავლის ჰოლისტური განვითარება არის განათლების მიზანი, რომელიც თავისთავად მოიაზრებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას.

ინდიკატორის 2.2.2.3. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანია. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები ფასდებიან განმავითარებელი შეფასებით, რომლითაც ფასდება მოსწავლეთა მიღწევები, შესაძლებლობები, საჭიროებები. ის აუცილებლად გულისხმობს ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, რადგანაც მას აცნობენ მშობლებს, მოსწავლეებს, საგნის მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას, ასევე აუცილებელია მისი შესაბამისობა ესგ-ის შედეგებთან. მასწავლებლები მუდმივად ცდილობენ შეფასების რუბრიკების შედგენისას ჩართული ყავდეთ მოსწავლეები, რა დროსაც მოხდება მათი ინფორმირება, თუ

რომელი რუბრიკით განხორციელდება მათი შეფასება. მასწავლებელთა განცხადებით, სკოლა სამომავლოდ გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით მეტად დახვეწს შეფასების ერთიან სასკოლო ფორმას და ასახავს საგნობრივ კურიკულუმებში.

ინდიკატორის 2.2.2.4. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტებში მოცემულია შეფასების სისტემის ზოგადი მექანიზმის მტკიცებულების ნიმუში. კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის. გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მათ აქვთ მომავლის ხედვა თუ როგორ უნდა გააანალიზონ დაგეგმილი აქტივობების მიღწევები და შედეგები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ნამუშევრებზე უკუკავშირს, განმავითარებელი ზეპირი კომენტარისა და წერილობითი რეკომენდაციის სახით იძლევიან. აღნიშნეს, რომ ეს სისტემა ახალი დანერგილია და მომდევნო სასწავლო წელს ვერიფიკაციის მექანიზმს გააუმჯობესებენ. დაწყებით საფეხურზე საგნების მასწავლებლებმა მასწავლებლებმა მატერიალური სახით წარმოადგინეს სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები, მოსწავლეთა ნაშრომებზე მათი უკუკავშირი.

ინდიკატორის 2.2.2.5. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შენახვას სათანადო წესით. მატერიალური ჟურნალები შენახულია სპეციალურ საცავში. ამჟამად სკოლა აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს. შეფასებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციები ინახება მოსწავლის პირად საქმეებში. როგორც აღვნიშნეთ დაწყებით საფეხურზე ფუნქციონირებს მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასება. ერთ-ერთი ასეთი შეფასების ნიმუშია მოსწავლეთა წლიური განმავითარებელი შეფასება, რომელიც იწერება სასწავლო წლის ბოლოს და ინახება მოსწავლის პირად საქმეში. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას სკოლის. მოსწავლეთა შეფასების შესახებ სემესტრული და წლიური ინფორმაცია დაცულია და გაიცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში

არის მოსწავლის მიერ კლასის საფეხურის დაძლევა/არდაძლევის ბრძანებები. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა **და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა
- ✓ შეფასების რუბრიკები
- ✓ დაწყებითი საფეხურის კათედრის ოქმები
- ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგი
- ✓ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები
- ✓

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ამოიკითხება, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას უნდა უზრუნველყოფდეს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი. დაწყებით საფეხურზე ამ მიმართულებით მუშაობა პირველი კლასის პირველი სასწავლო დღიდანვე მიმდინარეობს, როცა მოსწავლე პირველად შეაღებს სკოლის კარს, მიიღებს მხარდაჭერას, მიუხედავად განსხვავებული ეროვნებისა, სარწმუნოებისა, შესაძლებლობებისა და ინტერესებისა. ამის დასტურია მხარდაჭერაზე ორიენტირებული თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოებისა, რომელიც შედგება განსხვავებული ეროვნების, აღმსარებლობის, შესაძლებლობებისა და ინტერესების მქონე წევრებისგან.

   ინდიკატორის 2.2.3.1. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა სწავლება მიმდინარეობს დიფერენცირებული მიდგომებით. მოტივაციის, ჩართულობისა და ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებისთვის მოსწავლეები ჩართულები არიან სხვადასხვა სასწავლო პროექტებში ინტერესების, საჭიროებების და შესაძლებლობების შესაბამისად. სკოლაში ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველშე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეებზეა ორიენტირებული. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების, სადამრიგებლო პროგრამისა და მოსწავლეთა ნამუშევრების გაცნობით დასტურდება, რომ სკოლაში სასწავლო წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

   ინდიკატორის 2.2.3.2. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; ინტერვიუს დროს და სკოლის მიერ წარმოდგენილ განაცხადში გამოიკვეთა, რომ სკოლის დაწყებითი კათედრის წევრთა შორის სისტემურად ხორციელდება გამოცდილების გაზიარება, წარმატებების გაანალიზება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ასევე სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობა. ერთობლივად გეგმავენ და აწყობენ საჩვენებელ გაკვეთილებს, აქტიურად ერთვებიან

კათედრის მიერ დაგეგმილ სამუშაო შეხვედრებზე, განიხილავენ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს: როგორიცაა: განმავითარებელი შეფასება, კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპები და სწავლების დიფერენცირების გათვალისწინება სასწავლო პროცესში, თანამედროვე პროფესიულ ლიტერატურის და საგანმანათლებლო კვლევების გაცნობა. რასაც იყენებენ საკუთარი და კოლეგების პედაგოგიური პრაქტიკის გასაუმჯობესებლად „კრიტიკული მეგობრის“ პოზიციიდან.

ინდიკატორის 2.2.3.3. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლის განაცხადში ნათქვამია, რომ სკოლა უზრუნველყოფს პატივისცემაზე, ნდობაზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესს. სასკოლო კულტურა დაფუძნებულია კეთილგანწყობასა და ურთიერთპატივისცემაზე, ურთიერთთანამშრომლობასა და ურთიერთმხარდაჭერაზე. ხელმძღვანელობის დამოკიდებულება სასწავლო პროცესისა და პედკოლექტივის მიმართ უზრუნველყოფს პოზიტიური და მეგობრული გარემოს შექმნას როგორც სკოლის შიგნით, ისე კლასის დონეზე. დაწყებით კლასებში განხორციელდა პროექტები მშობელთა ჩართულობით, სკოლაში შექმნილია პოზიტიური და უსაფრთხო გარემო. მასწავლებელსა და მოსწავლეებს აქვთ ერთად შემუშავებული ქცევის წესები და გაცნობიერებული აქვთ მათი მნიშვნელობა. სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატზე მიუთითებს, უპირველეს ყოვლისა, ის თბილი ურთიერთობები, რომელიც დაფუძნებულია თანამშრომლობით სწავლებაზე. ყოველივე ეს სასკოლო საზოგადოების მუშაობის ერთიანი ხედვისა და კომუნიკაციის შედეგია.

ინდიკატორის 2.2.3.4. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ დაწყებითი საფეხურს კურიკულუმი
- ✓ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ სკოლის შინაგანაწესი

- ✓ სადამრიგებლო პროგრამა
- ✓ მშობელთა კითხვარი
- ✓ კათედრის შეხვედრის ოქმი

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით გაწერილია ყველა ის პროცედურა, რომლითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმის შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი. კათედრებზე არის მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, პედაგოგები კურკულუმის შექმნის პროცესში იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებსა და არსებულ გამოცდილებას. შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, რომ სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში გააკეთებენ. სკოლაში არსებობს ,,კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რომლის საშუალებითაც ხდება მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრება, შეფასება, გამოცდილების გაზიარება. როგორც

სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სასწავლო პროცესების ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შედეგი. სკოლას აქვს მზაობა მეთოდოლოგიის შესაბამისი.

ინდიკატორის 2.3.1.1. პირველად ავტორიზაციაზე ვერ ფასდება

2. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და დახმარებას. ამის შესახებ ნათქვამია კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში. ვინაიდან სასკოლო საზოგადოების ინტერესის სფეროს წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი და შეფასება, ამიტომ თითოეული მოსწავლის წინაშე არსებული გამოწვევები საჭიროებს განხილვასა და დახმარებას. ახალი სასწავლო წლიდან განისაზღვრება ჯგუფი, რომელიც მოახდენს კურიკულუმების გადახედვას, თუ რამდენადაა შესაბამისობაში ესგ-სთან, გაანალიზდება ხარვეზები და გაიცემა რეკომენდაციები. კათედრების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას სასწავლო პროცესში ისე, რომ იგი დახმარებასა და მხარდაჭერაზე იყოს ორიენტირებული და სასურველი შედეგები მიიღოს. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში გაწერილია მის შემუშავებაში მონაწილე პირების ფუნქციები, რაც მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. აღნიშნულ ინდიკატორს ადასტურებს კათედრების მუშაობა ამ კუთხით, ისინი ურთიერთდასწრების, ერთობლივი განხილვის, შედეგების გაანალიზებით ქმნიან პირობებს, რომ მონიტორინგი და შეფასება იყოს მხარდამჭერი და არა კრიტიკის ობიექტი.

ინდიკატორის 2.3.1.2. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება უნდა ახერხებდეს დაადგინოს საით მიდის სასწავლო პროცესი. რადგანაც პრობლემის იდენტიფიცირება უკვე იძლევა საშუალებას დასახულ იქნას ახალი ინტერვენციები მომდევნო კომპლექსური დავალების ჩატარებისას, რათა აღმოიფხვრას არსებული პრობლემა. სკოლას გააზრებული აქვს მონიტორინგის და შეფასების მნიშვნელობა პრობლემების გადაჭრის კუთხით. ამის შესახებ ნათქვამია კურიკულუმის შემუშავების და დანერგვის

მეთოდოლოგიაში. ამ ეტაპზე სკოლას აქვს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმი, კათედრებისა თუ სამუშაო შეხვედრების ფარგლებში ახდენენ პრობლემების იდენტიფიცირებას მოსწავლეთა ნაშრომების გაანალიზებით და გეგმავენ ახალ ინტერვენციებს. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია აისახება სამოქმედო გეგმაში. მომავალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის კათედრა სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის, მონიტორინგისა და დაკვირვების შედეგების გათვალისწინებით შეიმუშავებს ფორმას, რომელშიც გაწერილი იქნება მიღწევების ანალიზი და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გამოკვეთილი იქნება ახალი შესაძლებლობები, კონკრეტული ნაბიჯები, რათა აღმოიფხვრას არსებული პრობლემები და სკოლამ მიაღწიოს სასურველ შედეგს. სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება გამოიყენოს პრობლემების გადასაჭრელად. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევა: მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები დეტალურად აღწეროს მეთოდოლოგიაში, კერძოდ, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს - მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად, ვინ/რომელი სტრუქტურული ერთეულები/ჯგუფები განახორციელებენ შეფასებას, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ, კრიტერიუმები/ინდიკატორები, რომლითაც მოხდება შეფასება და გაეცემა პასუხი კითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს.

ინდიკატორის 2.3.1.3. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ დაწყებითი საფეხურს კურიკულუმი
- ✓ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ სკოლის შინაგანაწესი
- ✓ სადამრიგებლო პროგრამა
- ✓ კათედრის შეხვედრის ოქმი
- ✓ დამრიგებლის სამუშაო ჟურნალი
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორც მეთოდოლოგიის დოკუმენტში არის აღნიშნული, ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისაგან: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით, ასევე ინფორმაცია გროვდება პედაგოგებზე დაკვირვების გზით, მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა თანამშრომლობითი პროცესების გაღრმავების მიზნით. შეფასების პროცესში ჩართულია სკოლის კათედრები, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, კათედრის წევრები მხარს უჭერენ და ახორციელებენ ჰოლისტურ მიდგომებს.
სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, კერძოდ: როგორც კომპლექსურ დავალებებს, ასევე შემაჯამებელ სამუშაოებს. აღნიშნული დავალებების შეფასება ხორციელდება წინასწარ შეთანხმებული ინსტრუმენტებითა და გაწერილი რუბრიკების მიხედვით.
ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

2. სასკოლო კურიკულუმის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. როგორც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში არის აღნიშნული, დოკუმენტის განვითარების პროცესში მრავალი მხარე არის ჩართული: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დირექცია. მაგალითად, დაკვირვების საგანი არის რამდენად გაუმჯობესდა წინა მოსწავლეთა შედეგები, რა იყო მშობლებთან კომუნიკაციის ხელისშემშლელი ფაქტორები, რა ფაქტორები უშლიდა ხელს დირექციას მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებაში და ა.შ. სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უნარებზე დაკვირვებას და შედეგების მოდიფიცირებას. მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესში სკოლა ძირითადად იყენებს გამოკითხვას, ფორმალურ/არაფორმალურ დაკვირვებას. სკოლა იაზრებს, რომ სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება. აღნიშნული კი შესაძლებელია საკითხისადმი მრავლმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს.

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ინფორმაციის შეგროვების მიზნით: დაკვირვება, დიაგნოსტირების მეთოდები, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ბეჭდვითი სიტყვა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. მასწავლებლები ცდლობენ გაიგონ მოსწავლეების, მშობლების და მასწავლებლების აზრი სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხეთან დაკავშირებით. ამისთვის იყენებენ გამოკითხვას, ინტერვიუს , დაკვირვებას, ფოკუსჯგუფებს. შეფასების პროცესში ჩართული არიან მოსწავლეებიც.

ექსპერტების მიერ **სკოლას მიეცა რჩევა მომავალში, 2023-2024 სასწავლო წლიდან, გამოიყენოს მრავალფეროვანი თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (გამოკითხვა, ანკეტირება, ფოკუსჯგუფი, ინტერვიუ, დაკვირვება, ანგარიშები, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, ექსპერიმენტი და ა.შ. და სხვა.), რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს.**

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში: „ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“- ასახულია, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეთა შეფასების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კურიკულუმის განვითარების მიზნით. სკოლა გეგმავს, მათ მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე, შესაძლებლობებზე, საჭიროებებზე, რესურსების წვდომასა და სხვა ფაქტორებზე. ***ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები
- ✓ ვერიფიკაციის მექანიზმი
- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2..4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი დეტალურადაა წარმოადგენილი დოკუმენტში - "კურიკულუმის მეთოდოლოგია". მასში გაწერილია ნაბიჯები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მომხდარიყო კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. პედაგოგებისა და სკოლის წარმომადგენელთა განცხადებით, სკოლა კურიკულუმის განვითარების მიზნით მომავალი სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების წარმოებას. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტებია, კათედრული მუშაობა, მოსწავლეთა ჩართულობის გაანალიზება, მოსწავლეთა შეფასებებზე დაკვირვება და პროგრესის დიაგნოსტირება, ასევე დირექციის ჩართულობა პროცესში. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად არის გაწერილი ამოცანები, აქტივობები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები, მაგალითად გაწერილია საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები, სადაც მასწავლებლებმა საგნობრივ კათედრებზე უნდა შეიმუშაონ საგნობრივი კურიკულუმები. სკოლას გაცნობიერებული აქვს კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი, რომელიც დეტალურადაა წარმოდგენილი დოკუმენტში - "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". მასში გაწერილია ნაბიჯები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტებია, კათედრული მუშაობა, მოსწავლეთა ჩართულობის გაანალიზება, მოსწავლეთა შეფასებებზე დაკვირვება და პროგრესის

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

დიაგნოსტირება, ასევე დირექციის ჩართულობა პროცესში. აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზიდან და გასაუბრებიდან გამომდინარე ექსპერტთა შეფასებით, სკოლა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის მიხედვით განახორციელებს მის განვითარებას.

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში. კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. შესაბამისად სკოლა კურიკულუმის გადამუშავების პროცესში დაეფუძნება წინარე გამიცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმის ნიმუშები;
- ✓ სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

საბაზო საფეხური

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

□□□□□□□□□□ 2	□□□□□□□□□□ □□□□□□ □□□□□□□□□ *(□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □□□□ □□□□□□□□□□□□ □□ □□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□)*
□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ (□□□□□□ □□□□□□□□□)	■ □□□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □ □□ □□□□□□□□□□□□
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ □□□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □ □□ □□□□□□□□□□□□
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ □□□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □ □□ □□□□□□□□□□□□
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ □□□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □ □□ □□□□□□□□□□□□
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ □□□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □ □□ □□□□□□□□□□□□

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას; სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინების შესაძლებლობას, რომლის მიხედვითაც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ყურადღება მიექცევა სასკოლო საზოგადოების შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. საბაზო საფეხურის კურიკულუმი ხორციელდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის ჩართულობით. ამის უზრუნველსაყოფად სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად სკოლა იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებას: ელექტრონულ ფოსტას, სოციალურ ქსელს, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, ბეჭდვით მასალებს, საჯარო ღონისძიებებს ინფორმაცის გაზიარებისთვის, დამრიგებლების შეხვედრას მშობლებთან და სხვ. სასკოლო კურიკულუმის განახლება მოხდება წლის განმავლობაში

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

შეგროვებული მონაცემების საფუძველზე, კურიკულუმში გაითვალისწინებულია გასული სასწავლო წლის მიგნებები, გამოკვეთილი პრობლემები და საჭიროებები. სკოლაში სსსმ მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი შინაარსი, აქტივობები და რესურსები. სასკოლო საზოგადოების ჩართულობას უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება. სკოლა აცნობიერებს მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობას თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებისთვის და გეგმავს სამომავლოდ მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლასა და გამოკვეთას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; კურიკულუმი შემუშავრბულია სასკოლო საზოგადოების კონსულტაციების საფუძველზე. საგნობრივი კურიკულუმების ფარგლებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები, რომლებიც საგნობრივი კათედრის მასწავლებლების მიერაა გამოკვეთილი განვლილი სასწავლო პროცესების ანალიზისა და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად გამოყენებული იქნა მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, განმავითარებელი უკუკავშირი, ასევე მასწავლებელთა თვითრეფლექსია. თითოეული საგნობრივი კათედრა სხდომებზე უზიარებს კოლეგებს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილ პრობლემებს, მიგნებებს, მოსწავლეთა შედეგებს. საგნობრივი კურიკულუმები ძირითადად გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, ის ითვალისწინებს მოსწავლეთა ასკობრივ თავისებურებებს, მათ შესაძლებლობებსა და ინტერესებს. აღნიშნული ქმედებები მეტყველებს იმაზე, რომ სკოლა აცნობიერებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობას სასკოლო ცხოვრებაში და მუშაობას ამ მიმართულებით.

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავებულია საქმიანი სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. კურიკულუმის შემუშავების პროცესს წინ უძღოდა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის, მოსწავლეთა შედეგების, მშობელთა ჩართულობის, კათედრებისა და სკოლის დირექციის მუშაობის ანალიზი. სკოლის განვითარებისა და მისი საჭიროებების კვლევის პროცესში ჩართულია მოსწავლეთა თვითმმართველობაც. საგნობრივი კათედრების წარმომადგენლები ჩართულები იყვნენ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება კონცეპტუალურ ჩარჩოზე, კურიკულუმის დიზაინზე, რომელიც, თავის მხრივ, მოიაზრებს კურიკულუმის სტრუქტურულ ერთეულებს, დანერგვის ინსტრუმენტებს, შუალედურ სასწავლო მიზნებს, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენეტების შეთანხმება/ვერიფიკაციას, სასკოლო საზოგადეობის წევრების ფუნქციებისა და მონაწილეობის ფორმების განსაზღვრას კურიკულუმის განვითარების პროცესში. კათედრა გეგმავს მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირის მიღებას და გათვალისწინებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებულია კურიკულუმი. სკოლას აქვს მშობლებთან ურთიერთობის სხვადასხვა საკომუნიკაციო ფორმა, როგორც სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, ისე ინდივიდუალური შეხვედრები, სოციალური ქსელის საშუალებით და სხვ. სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროექტების, ღონისძიებების თუ სპორტული აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას სასკოლო საზოგადოებისთვის სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს. სკოლის ელექტრონული ფოსტა, სკოლის ღია სივრცე, საინფორმაციო დაფა, რომელზეც ახალი ინფორმაციის განთავსდება სკოლის შიდა და გარე კომუნიკაციის საშუალებებია. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

სარგებლობს საკუთარი ვებგვერდით. ამ საშუალებებით ხდება მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებელთა ინფორმირება და ასევე ეფექტური უკუკავშირის მიღება. დაწესებულება გეგმავს სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად, მომავალშიც გამოიყენოს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- **სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია**
- **საგნობრივი კურიკულუმები**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან**

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომლებშიც გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება. აქვე აღვნიშნავთ, რომ წინა წლებში მასწავლებლებს ჰქონდათ კომპლექსური დავალების შემუშავების ერთეული მაგალითები. ამ მხრივ გამოირჩენა ესთეტილის კათედრა. ახალი სასწავლო წლიდან კი კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები, კომპლექსური დავალებების იდეები სრულად აკმაყოფილებს პირობებს. კურიკულუმების ჩარჩო ძირითადად აგებულია მიწოდებული მატრიცებისა და კომპლექსური დავლაებების ნიმუშების მიხედვით, მასწავლებელი ახდენს დავალების მოდიფიცირებას საჭიროების მიხედვით; აღსანიშნავია, რომ ცალკეულ კათედრაზე თანამშრომლობით შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ძირითადად სრულად არის დაფარული ყველა სავალდებულო თემები. სწორად არის ასახული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ურთიერთმიმართება, შესაბამისი რესურსები, ჩანს კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის. თუმცა იყო რიგი უზუსტობებიც მაგ: საგან მოქალაქეობაში მეცხრე კლასის კურიკულუმში სავალდებულო თემების ცენტრალური ხელისუფლება, ეკონომიკა და სახელმწიფო, სამშვიდობო პროცესები, გარემოს დაცვა მოცემულია - მოქალაქე, სახელმწიფო და გლობალური პროცესები. ასევე სამიზნე ცნებები

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

არასწორად იყო მითითებული, მაგალითად: კურიკულუმში წერია სამოქალაქო თანამონაწილეობა, უნდა ეწეროს სამოქალაქო მონაწილოება, არ ეწერა ქვეცნებები. ზოგან ჩანაწერებში ქვეცნებებთან მიმართებით შეინიშნებოდა უზუსტობები. ისტორიისა და გეოგრაფიის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ცხრილები სრულყოფილად შევსებული, ხოლო მოქალაქეობის ცხრილებში იყო უზუსტობები და მეორე სემესტრის ნაწილი ზოგგან საერთოდ არ შევსებული. ესთეტიკის კათედრაზე სკოლას წარმოდგენილი აქვს უმეტესად კომპლექსური ბუნების დავალებებით დაგეგმილი სასწავლო პროცესის ამსახველი კურიკულუმები, რაც შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად, ვინაიდან მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის როლს, მოსწავლე კი კეთების პროცესში ახდენს ცოდნის კონსტრუირებას. ამგვარი მიდგომით აქტიურდება კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპები. საბაზო საფეხურის თემატურ ბლოკებში წარმოდგენილია ის შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და შეესაბამება ენობრივი ცოდნის დონეს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში არის ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ასეთი დავალებების განხორციელების ეტაპზე აუცილებელია ფუნქციურ-კომპონენტური უნარების დამუშავება საგნობრივი საკითხების დამუშავების ფარგლებში. სკოლა საბაზო საფეხურის მოსწავლეებს განუვითარებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს,რადგან კურიკულუმის ჩარჩოებში სრულად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული საგნების სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. სწორადაა შერჩეული მიზნების

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენა. კომპლექსური დავალების პირობები შერჩეულია ისე, რომ მოსწავლეებს უვითარებს ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივსტული პრინციპით ნაცნობი კონტექსტთან კავშირში. ამრიგად, საგნობრივი კურიკულუმები ს ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. ესთეტიკურ და უცხოურ ენების კათედრაზე წარმოდგენილი კურიკულუმების უმეტესობა გამდიდრებულია კომპლექსური ბუნების დავალებებით, ასევე თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, რესურსები, ქვეთემები, შესაბამისად სასწავლო პროცესი მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე.ექსპერტების მიერ გაიცა რჩევა: კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსურ დავალებებთან დაკავშრებით უნდა შეივსოს ცარჩოს შვიდივე სვეტი (თემა, სამიზნე ცნება, ქვეცნებები, საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, მაგალიტებ შედარებისთვის, გამოყენებული რესურსები) სრულად. ხოლო იმ საკითხთან მიმართებით, რომლებშიც არ ამუშავებთ კომპლექსურ დავალებებს ივსებაშემდეგი ველები: თემა, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხი/საკითხთა კლასტერი, გამოყენებული რესურსები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილია კათედრის შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, დიაგნოსტიკური წერების რეფლექსია, დაკვირვების ფორმები, სადიაგნოსტიკო ტესტები და ისგ-ს ნიმუშები, რომლებშიც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდვიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

განხორციელებას. ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. სკოლაში შექმნილია მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები სსსმ მოსწავლისათვის. ესთეტიკისა და უცხოური ენების კათედრაზე სასწავლო პროცესი სრულად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, რადგან კათედრას აქვს გამოცდილება და ამ ეტაპზე მუშაობს კოპლექსური ტიპის დავალებებით, რომლებშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. აღნიშნული მიდგომები ასახულია კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. სსსმ მოსწავლეებისთვის სკოლას აქვს შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და ორიენტირებულია კონკრეტული უნარების განვითარებაზე. გეგმის განხორციელების პროცესში ხდება მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასებაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა ახალი სასწავლო წლიდან უკვე გეგმავს დავალების შესაბამისი სოლო ტაქსონომიით შეფასების პრაქტიკის დანერგვას, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებს, წარმოდგენილია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით დგინდება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. ფასდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი; განმავითარებელი შეფასებით დგინდება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკა და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. სკოლა მოსწავლის შეფასების მექანიზმად ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად იყენებს განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. წარმოდგენილია „სოლო“ ტაქსონომიით შეფასების ამსახველი რუბრიკების ერთეული ნიმუშები. წარმოდგენილი

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არის სრულყოფილი, მათში გაწერილია თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით და უზრუნველყოფს გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში მოსწავლეთა მიღწევების გაზომვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და მისი ანალიზის საფუძველზე სასკოლო საზოგადოება შეიმუშავებს ყოველი მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება პარალელური კლასების გამოცდილების გაზიარებაც, რაც ასევე გამოჩნდა კათედრებთან ინტერვიურების პროცესშიც. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა საბაზო საფეხურზე ითვალისწინებს წინარე გამოცდილებასა და მისი ანალიზის შედეგებს, აუცილებელია რეფლექსიის/დიაგნოსტრირების ინსტრუმენტის დახვეწა, რათა სტანდარტის შედეგების მიხედვით მოხდეს მოსწავლის შედეგების ანალიზი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- კურიკულუმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა (შემაჯამებელი დავალების ანალიზი)
- ისგ-ს ჯგუფის ოქმები
- შეფასებები და მათი ანალიზი (მოსწავლეთა ნაშრომები)

შეფასება:

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას: მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში წინა სასწავლო წელს კომპლექსური დავალებები არ იგეგმებოდა და მხოლოდ ეპიზოდური და არა სისტემური ხასიათი ჰქონდა, სათანადო ტრენინგებისა სასწავლო კურსების გავლის შემდეგ ახალ კურიკულუმში ყველა კათედრაზე ყველა საგანში გაიწერა კომპლექსური დავალებები, რომლებიც შეესაბამება სასწავლო თემებს, გაიწერა თემატური მატრიცები, მოსწავლის ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, რაც მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კათედრათა წევრებს შორისაც არსებობს ეფექტიანი კომუნიკაცია და კოლაბორაცია. ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო და საკლასო გარემო პოზიტიური და მოწესრიგებულია, უზრუნველყოფილი სასწავლო რესურსებით. უშუალოდ კურიკულუმში მოცემული მიზნებიდან გამომდინარე, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული სხვა ინფორმაციებით, საბუნებისმეტყველო საგნების საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება ხუთ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპს, შესაბამისად მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს აქტურად შემოქმედებით პროცესებში. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სკოლაში მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. სწავლება მიმდინარეობს პოზიტიურ სასწავლო გარემოში და მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება. მოსწავლე იქნება შემოქმედებით პროცესში ჩართული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

2. საბაზო საფეხურზე სკოლის კათედრებს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, სამიზნე ცნება, მიმართულებები, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების პირობები, საკითხები და რესურსები. უზრუნველყოფილია ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. სკოლის პრაქტიკაში წინა სასწავლო წელს ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის გამოცდილებას, თუმცა ახალი სასწავლო წლის კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შეესაბამება სასწავლო თემებს, გაიწერილია თემატური მატრიცები, მოსწავლის ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, რაც მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. გამოკვეთილია ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების საფუძველები. ისტორიისა და გეოგრაფიის საგანში მოცემული ინფორმაცია იძლევა კონსტრუირების შესაძლებლობას რადგან მოცემული სავალდებულო თემები საკითხთა კლასტერი შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ თემებთან, ამ ორი საგნის მაგალითზე შეიძლება ითქვას რომ სკოლა აკმაყოფილებს ახალი ცოდნის კონსტრუირების კომპონენტს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით.ექსპერტების მიერ გაიცა რჩევა: საჭიროა გასწორდეს საგან მოქალაქეობაში მოცემული თემების, შესაბამისად საკითხთა კლასტერისა და სამიზნე ცნებების, ქვეცნებების დასახელება. ასევე სწორად დახარისხდეს და დალაგდეს.

   აღსანიშნავია, რომ საბუნებისმეტყველო კათედრაზე პედაგოგებთან გასაუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

3. საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესის მნიშვნელობა იმისთვის, რომ მოსწავლეები დაეუფლონ სწავლის სტრატეგიებს და შემოქმედებითი პროდუქტი შექმნან გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში. ამ მიზნის მისაღწევად ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმებში გაწერილია შესაბამისი პირობები. კომპლექსური დავალებების მიხედვით წარმოდგენილი იქნება ცოდნის აგების პრინციპი და სწავლა განხორციელდება კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურ დავალებამდე. აქცენტი გამახვილებულია სწავლის სწავლაზე და მეტაკოგნტური უნარების განვითარებაზე. საფეხურის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილების გეგმებიდან და შეფასების რუბრიკებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები დამოუკიდებლად ცოდნის ასაგებად. კურიკულუმის ჩარჩოებში ესთეტიკის კათედრაზე ისეთი კომპლექსური დავალებებია მოცემული, რომ ისინიც აუცილებლად გულისხმობს საწვლის სწავლას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესის კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროქტული სწავლებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. სკოლის გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში ჩანს საბაზო საფეხურზე დაგეგმილი პროექტები (ერთწლიანი სამოქმედო გეგმაშია გათვალისწინებული) და კომპლექსური დავალებები. მათზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოყენება, პრობლემის ან გამოწვევის ანალიზი და შემოქმედებიად გადაწყვეტა. წარმოდგენილი დოკუმეტაციისადა ინტერვიუზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

5. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში რესურსებად მითითებულია არსებული კომპლექსური დავალებების ბანკი, მაორგანიზებელი ცხრილები და სქემები, რაც მოსწავლეებს დაეხმარება ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. ვინაიდან 2023-2024 სასწავლო წლის სწავლა-სწავლების პროცესი აგებული აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნთა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. სწავლების პროცესში გრაფიკული მაორგანიზებლების, გასასვლელი ბარათების, პერსონაჟის რუკის, ასოციაციების რუკის გამოყენება დაეხმარება მოსწავლეებს ცოდნათა დაკავშირებასა და ორგანიზებაში. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები იმგვარდაა დაგეგმილი, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩოები;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
- 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში/ანალიზი;
- მასწავლებელთა რეფლექსიები ინტერვიუს დროს;
- გაკვეთილების გეგმა

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში შუალედური (საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, იდეა, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, საფეხურის შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი რესურსებიდან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ ახალი სასწავლო წლიდან სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. მასწავლებლებს ძირითადად სწორად აქვთ მითითებული საკითხები, ცნებები, ქვესაკითხები. საგნობრივი კურიკულუმი ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას. აღნიშნული აღწერა საერთოა ყველა საგნობრივი ჯგუფისათვის, გარდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრისა, კერძოდ, საგან მოქალაქეობაში მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში არის თავსებადობა და საჭიროებს ძირეულ რედაქტირებას, რათა შესაბამისობაში მოვიდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. აღსანიშნავია, რომ საბუნებისმეტყველო საგნებში სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რადგან საგნობრივ კურიკულუმებში, სამივე საგანში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანზე ორიენტირება. თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები თუმცა, წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები, აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე მორგებული აქტივობები, რომ სასწავლო პროცესი თანამშრომლობასა და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული, თუმცა იმისთვის ეს პროცესი გაზომვადი იყოს, აუცილებელია სასწავლო პროცესში აქცენტები გაკეთდეს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე, კურიკულუმში აქტივობები ამას ხელს უნდა უწყობდეს და კომპლექსური დავალების/პროექტების განხორციელების პროცესში თანმიმიდევრულად უნდა მოხდეს მისი განვითარება თითოეული მოსწავლის მიერ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ეს საკითხვები გააზრებული აქვთ. მათ აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესს ისე წარმართავენ, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს დაეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. თუმცა საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში მოცემული ინფორმაცია ნაწილობრივ ემსახურება მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც ძირითადად სხვადასხვა ტიპის პროდუქტით განისაზღვრება, აქტივობების განხორციელების პროცესში მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს, მართონ საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს.

ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

3. სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ სწავლა/სწავლების პროცესიც. ამისათვის წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შერჩეული განმავითარებელ შეფასებათა ინსტრუმენტები ხელს ნაწილობრივ უწყობს მოსწავლის წინსვლას. კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკა, თვითშეფასების რუბრიკები, გასასვლელი ბარათები, ჩანაწერთა დღური და შერჩეული სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტები არის წინაპირობა მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების. რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დაგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. სკოლას აქვს არჩეული შეფასების პირველი მოდელი, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, გეგმავენ შეფასების რუბრიკებზე მუშობას სხვადასხვა კათედრასთან კოლაბორაციით. წარმოადგინეს როგორც ქოუჩინგის დროს შექმნილი შეფასების განმსაზღვრელი რუბრიკები, ისე აქამდე გამოყენებული შეფასების სხვადასხვა რუბრიკები, რაც კათედრების თანამშრომლობის პოტენციალსა და მზაობაზე მეტყველებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად კათედრები იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, 1-4 კლასის ჩათვლით ძირითადად განმავითარებელი შეფასებები არის ზეპირი კომენტარის სახით, წლის

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

ბოლოს განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასებით. მე-5-6 კლასებში განმავითარებელი შეფასებისთვის ზეპირი კომენტარით შემოიფარგლებიან, თუმცა მათი დახვეწა აუცილებლია და გასათვალისწინებელია ის რეკომენდაციები, რომელსაც გასცემს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. კერძოდ, რუბრიკებში ნათლად უნდა იყოს ასახული, რომელ ინდიკატორს მიემართება შეფასება. ის აპექტი, რომ შეფასების სისტემის შერჩევა ხდება ესგ-ზე დაყრდნობით, მას უფრო ვალიდურსა და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისს ხდის. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში შეფასების თითოეულ კრიტერიუმს აქვს მინიჭებული ქულა, შესაბამისად, მოსწავლემ იცის პირობითად, ზუსტად რა კრიტერიუმის მიხედვით რამდენ ქულას იმსახურებს. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ერთად შექმნეს სტანდარტზე დაყრდნობით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა და ობიექტურობა მხარდაჭერილია ვერიფიკაციის მექანიზმით, რომელიც ჩაშენებულია 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. საგნობრივ კათედრებზე შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის. სკოლის წარმოდეგენილი აქვს 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც წარმოდგენილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. დოკუმენტში გაწერილია ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები (მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან, მოსწავლის მიღწევების ანალიზი, ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად) და პრინციპები (ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა და ობიექტურობა). ზემო აღნიშნული და სკოლის შეფასების სისტემა ცხადყოფს, რომ სკოლაში არის მზაობა დაინერგოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლაში მოქმედებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესები. დირექტორის სამართლებრივ - ადმინისტრაციული ბრძანებით განსაზღვრული აქვს ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. კათედრის მიერ მოსწავლეთა მიერ მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით.როგორც სკოლის თვითშეფასების ფორმაში წერია, სკოლა ზრუნავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვაზე. ინფორმაციის ასახვა ხდება როგორც ელექტრონულ ჟურნალში, შეინახება კანონმდებლობით დადგენილი ვადით (3 წლით).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩოები
- განმავითარებელი და განმსაზრვრელი შეფასების რუბრიკები
- მოსწავლის ნამუშევრის ანალიზი

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

- შემაჯამებელი დავალების ანალიზი
- სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სპეციფიკური მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც მოსწავლეზეა ორიენტირებული. კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეების განხორციელება მოსწავლეებს აძლევს პიროვნული ზრდის საშუალებას. სკოლის მიერ შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. მასწავლებლებისთვის თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა წამყვანი პრიორიტეტებია მათი საქმიანობის პროცესში. მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. საბაზო საფეხურის კურიკულუმების, შეფასების რუბრიკების, მასწავლებელთა რეფლექსიებისა და გაკვეთილზე დაკვირვების ფორმების

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავალეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. აღნიშნული კი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. საბაზო საფეხურზე მოსწავლეზე ორიენტირებულად სასწავლო პროცესის წარსამართავად სკოლა ნერგავს კომპლექსურ დავალებებს, რომლებშიც საგნობრივი საკითხების აქტუალიზებასთან ერთად გათვალისწინებული იქნება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარება, რაც სამოქალაქო პასუხისმგებლობას გაუღვივებს მოსწავლეებს და აჩვენებს განვითარების გზას, რათა სწავლება დაეფუძნოს მოსწავლის კომპლექსურ განვითარებას. ასევე, მოსწავლეთა ინტერესებზეა მორგებული სადამრიგებლო პროგრამა. დამრიგებლებისთვის შექმნილია ელექტრონული სამუშაო ჟურნალი, სადაც აღიწერება ინფორმაცია არასაგაკვეთილო დროს მოსწავლეთა საქმიანობის შესახებ, კლასისა და სკოლის ტრადიციები, მშობელთან და მოსწავლეებთან ინდივიდუალური შეხვედრების მიზნები და გადაწყვეტილებები, სასკოლო ღონისძიებებში კლასის მოსწავლეების ჩართულობა. სკოლაში ტარდება არაფორმალური აქტივობები, ფუნქციონირებს კლუბები და წრეები. საბაზო საფეხურის კურიკულუმების, სადამრიგებლო პროგრამისა და მოსწავლეთა ნამუშევრების გაცნობით დასტურდება, რომ სკოლაში სასწავლო წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ინდიკატორი2.2.3.2.დაკმაყოფილებულია

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

3. საგნობრივი კათედრების შეხვედრებზე მასწავლებლები ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს, შეფასების რუბრიკებს, აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ ისინი რეგულარულად თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით. ცდილობენ ერთობლივად მოიძიონ პრობლემური საკითხების გადაჭრის გზები. აქვთ ინტეგრირებული პროექტების განხორციელების გამოცდილება და გეგმავენ მის სამომავლოდ გამოყენებასაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა თანამშრომლობითი კულტურისა და კომუნიკაციის განვითარებასაც. საბაზო საფეხურის კათედრების შეხვედრის ოქმების, მასწავლებლებთან გასაუბრებითა და ვიზიტის დროს პერსონალის საქმიანობაზე დაკვირვებით დასტურდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ინდიკატორი 2.2.3.3.დაკმაყოფილებულია

4. სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთა კითხვარი, რომლითაც იკვლევს მშობლების ინფორმირებულობისა და კმაყოფილების ხარისხს. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერა. წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლა ცდილობს პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას როგორც სასკოლო, ისე საკლასო დონეზე. სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილი სადამრიგებლო პროგრამით განსაზღვრული თემები უზრუნველყოფს მოსწავლეთა შორის მეგობრული და ტოლერანტული გარემოს შექმნას. სადამრიგებლო საათები ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ-პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს. კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგიის, სადამრიგებლო პროგრამების, სკოლის შინაგანაწესის და სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობა გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური კლიმატის შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორი 2.2.3.4 .დაკმაყოფილებულია

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა**
- **კურიკულუმი**
- **სკოლის შინაგანაწესი**
- **სადამრიგებლო პროგრამა**
- **კათედრების შეხვედრის ოქმები**

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტის სახით "სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", რომელშიც აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: ა) კურიკულუმი შემუშავება; ბ) დანერგვა; გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; დ) გადასინჯვა და რევიზია. სკოლას გაწერილი აქვს დეტალურად, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება და რომელ პრინციპებს უნდა დაეყრდნოს. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)? სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: - მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით სკოლას დოკუმენტში გაწერილი აქვს პროცესი დეტალურად და უზრუნველყოფს მონიტორინგს და შეფასებას განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

პირველად ავტორიზაციაზე 2.3.1.1 ინდიკატორი ვერ ფასდება

2. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას აქვს მხარდამჭერი ფუნქცია. მისი მიზანი არის სასკოლო საზოგადოებას დაეხმაროს სასწავლო შედეგების მიღწევაში, უკეთესი გარემოს შექმნაში. მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მეთოდური მიდგომის მთავარ მიზანს წარმოადგენს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრა. ასევე სკოლის თვითშეფასებით დასტურდება,

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება პრობლემის აღმოფხვრის მიზნით. სკოლაში უწყვეტად მიმდინარეობს შეფასების პროცესი, რომლის საფუძველზეც ხდება საჭიროებების გამოვლენა და ინტერვენციების დაგეგმვა, თუკი გადაჭრის გზები არ აღმოჩნდება ქმედითი, ხდება ახალი ფორმების, ინსტრუმენტების ძიება, რომლებიც სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე არის ორიენტირებული.

მეთოდოლოგიის დოკუმენტში სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობის გაძლიერება ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში - სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და დაგეგმის მეთოდოლოგია და „შიდა საქმიანობის ხარისხი“- იკვეთება, რომ ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას, აგრეთვე, ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭიროა პროგრამების, მიმდინარე სასწავლო პროცესის სისტემატური გადახედვა, კონტროლი, რათა შენარჩუნებული იქნას ხარისხი და ეფექტურობა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. შესაბამისად. სკოლა აქვს მზაობა და გაწერილი საქმიანობების თანამიმდევრობა, როგორ უზრუნველყოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება.

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ინსტრუმენტში ხაზგასმული არის, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სხვადასხვა პრობლემების მოგვარებას: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხდება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოკვეთილი პრობლემების გადასაჭრელად; პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას და მათ გადაჭრას ემსახურება სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე დაკვირვება .

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

მონიტორინგი და შეფასება მუდმივი პროცესია და სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე არის ორიენტირებული. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შედეგებს მუდმივად იყენებენ მომავალი სამუშაოს დაგეგმვისათვის. ისინი ხშირად ხვდებიან მოსწავლეებს ინდივდუალური საჭიროებიდან გამომდინარე. სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი "სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", სადაც დეტალურადაა გაწერილი ფუნქციები, პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის; მოხდება აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით. მოხდება მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზიდან შეგვიძლია დავადგინოთ , რომ სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ექსპერტების მიერ გაიცა რჩევა: **მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები დეტალურად აღწეროს მეთოდოლოგიაში, კერძოდ, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს - მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად, ვინ/რომელი სტრუქტურული ერთეულები/ჯგუფები განახორციელებენ შეფასებას, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ, კრიტერიუმები/ინდიკატორები, რომლითაც მოხდება შეფასება და გაეცემა პასუხი კითხვას-რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს.**

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

- ✓ კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
- ✓ სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ✓ პედაგოგებთან პირადი გასაუბრება;
- ✓ ვერიფიკაციის მექანიზმი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორც მეთოდოლოგიის დოკუმენტში არის აღნიშნული, ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისაგან: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით, ასევე ინფორმაცია გროვდება პედაგოგებზე დაკვირვების გზით, მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა თანამშრომლობითი პროცესების გაღრმავების მიზნით. შეფასების პროცესში ჩართულია სკოლის კათედრები, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, კათედრის წევრები მხარს უჭერენ და ახორციელებენ ჰოლისტურ მიდგომებს.

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, კერძოდ: როგორც კომპლექსურ დავალებებს, ასევე შემაჯამებელ სამუშაოებს. აღნიშნული დავალებების შეფასება ხორციელდება წინასწარ შეთანხმებული ინსტრუმენტებითა და გაწერილი რუბრიკების მიხედვით.

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სასკოლო კურიკულუმის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. როგორც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში არის აღნიშნული, დოკუმენტის განვითარების პროცესში მრავალი მხარე არის ჩართული: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დირექცია. მაგალითად, დაკვირვების საგანი არის რამდენად გაუმჯობესდა წინა მოსწავლეთა შედეგები, რა იყო მშობლებთან კომუნიკაციის ხელისშემშლელი ფაქტორები, რა ფაქტორები უშლიდა ხელს დირექციას მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებაში და ა.შ. სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უნარებზე დაკვირვებას და შედეგების მოდიფიცირებას. მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესში სკოლა ძირითადად იყენებს გამოკითხვას, ფორმალურ/არაფორმალურ დაკვირვებას. სკოლა იაზრებს, რომ სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება. აღნიშნული კი შესაძლებელია საკითხისადმი მრავლმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს.

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ინფორმაციის შეგროვების მიზნით: დაკვირვება, დიაგნოსტირების მეთოდები, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ბეჭდვითი სიტყვა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. მასწავლებლები ცდლობენ გაიგონ მოსწავლეების, მშობლების და მასწავლებლების აზრი სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხეთან დაკავშირებით. ამისთვის იყენებენ გამოკითხვას, ინტერვიუს , დაკვირვებას, ფოკუსჯგუფებს. შეფასების პროცესში ჩართული არიან მოსწავლეებიც.

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

ექსპერტების მიერ **სკოლას მიეცა რჩევა მომავალში, 2023-2024 სასწავლო წლიდან, გამოიყენოს მრავალფეროვანი თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (გამოკითხვა, ანკეტირება, ფოკუსჯგუფი, ინტერვიუ, დაკვირვება, ანგარიშები, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, ექსპერიმენტი და ა.შ. და სხვა.), რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს.**

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში: „ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“- ასახულია, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეთა შეფასების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კურიკულუმის განვითარების მიზნით. სკოლა გეგმავს, მათ მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე, შესაძლებლობებზე, საჭიროებებზე, რესურსების წვდომასა და სხვა ფაქტორებზე.

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები
- ✓ ვერიფიკაციის მექანიზმი
- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი დეტალურადაა წარმოადგენილი დოკუმენტში - "კურიკულუმის მეთოდოლოგია". მასში გაწერილია ნაბიჯები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მომხდარიყო კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. პედაგოგებისა და სკოლის წარმომადგენელთა განცხადებით, სკოლა კურიკულუმის განვითარების მიზნით მომავალი სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების წარმოებას. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნული

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

კომპონენტებია, კათედრული მუშაობა, მოსწავლეთა ჩართულობის გაანალიზება, მოსწავლეთა შეფასებებზე დაკვირვება და პროგრესის დიაგნოსტირება, ასევე დირექციის ჩართულობა პროცესში. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად არის გაწერილი ამოცანები, აქტივობები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები, მაგალითად გაწერილია საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები, სადაც მასწავლებლებმა საგნობრივ კათედრებზე უნდა შეიმუშაონ საგნობრივი კურიკულუმები. სკოლას გაცნობიერებული აქვს კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი, რომელიც დეტალურადაა წარმოდგენილი დოკუმენტში - "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". მასში გაწერილია ნაბიჯები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტებია, კათედრული მუშაობა, მოსწავლეთა ჩართულობის გაანალიზება, მოსწავლეთა შეფასებებზე დაკვირვება და პროგრესის დიაგნოსტირება, ასევე დირექციის ჩართულობა პროცესში. აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზიდან და გასაუბრებიდან გამომდინარე ექსპერტთა შეფასებით, სკოლა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის მიხედვით განახორციელებს მის განვითარებას.

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში. კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. შესაბამისად სკოლა კურიკულუმის გადამუშავების პროცესში დაეფუძნება წინარე გამიცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმის ნიმუშები;
- ✓ სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

საშუალო საფეხური

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

□□□□□□□□□ 2	□□□□□□□□□ □□□□□□ □□□□□□□□ *(□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□ □□□□□□□□□□□ □□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□)*
□□□□□□□ □□□□□□□□□□□ (□□□□□□□ □□□□□□□□)	■ □□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □ □□ □□□□□□□□□□□
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ □□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □ □□ □□□□□□□□□□□
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ □□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □ □□ □□□□□□□□□□□
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ □□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □ □□ □□□□□□□□□□□
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ □□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □ □□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □ □□ □□□□□□□□□□□

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინების შესაძლებლობას, რომლის მიხედვითაც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ყურადღება ეთმობა სასკოლო საზოგადოების შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის ჩართულობით. ამის უზრუნველსაყოფად სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად, სკოლა იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებას: ელექტრონულ ფოსტას, სოციალურ ქსელს, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, ბეჭდვით მასალებს, იყენებს საჯარო ღონისძიებებს ინფორმაცის გაზიარებისთვის, დამრიგებლების შეხვედრას მშობლებთან, ახლადშექმნილ ვებგვერდს და სხვ. სასკოლო კურიკულუმის განახლება წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე მოხდება, რომელშიც

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

გაითვალისწინებენ გასული სასწავლო წლის მიგნებებს, გამოკვეთილ პრობლემებსა თუ საჭიროებებს. სკოლაში სსსმ მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფისთვის შემუშავებულია კურიკულუმი შემუშავებულია შესაბამისი რესურსების, შინაარსის, თუ აქტივობების შერჩევის გზით. სასკოლო საზოგადოების ჩართულობას უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება. სკოლა აცნობიერებს მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობას თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებისთვის და გეგმავს სამომავლოდ მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლასა და გამოკვეთას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომლებსაც კონსულტაციების შედეგად ადგენს სკოლა და რომლის განხორციელებასაც აპირებს ახალი 2023-2024 სასწავლო წლისთვის. საგნობრივი კურიკულუმების ფარგლებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად, მასწავლებლები მიმართავენ მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას და შედეგების ანალიზს, განმავითარებელ უკუკავშირს, ასევე მასწავლებელთა თვითრეფლექსიას. თითოეული საგნობრივი კათედრა სხდომებზე უზიარებს კოლეგებს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილ პრობლემებს, მიგნებებს, მოსწავლეთა შედეგებს და მათთან ერთად განიხილავენ კურიკულუმში ცვლილებების შესატანად. საგნობრივი კურიკულუმები ძირითადად გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, ის ითვალისწინებს მოსწავლეთა ასკობრივ თავისებურებებს, მათ შესაძლებლობებსა და ინტერესებს. აღნიშნული ქმედებები მეტყველებს იმაზე, რომ სკოლა აცნობიერებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობას სასკოლო ცხოვრებაში და აპირებს მუშაობას ამ მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

3. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის განვითარების მიზნით, გადანაწილებულია ფუნქციები და პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, რაც მოიაზრებს მათ ჩართულობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კათედრის თავმჯდომარე ათანხმებს კათედრის წევრებთან, მოსწავლეების მიღწევებისა და სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის მოგროვების სტრატეგიებს, ის ასევე უზრუნველყოფს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილი მასალების შეგროვებას და კათედრის სხდომების ჩატარებას სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად. სკოლის განვითარებისა და მისი საჭიროებების კვლევის პროცესში ჩართულია მოსწავლეთა თვითმმართველობაც. სკოლა იზიარებს რა თითოეული წევრის ჩართულობის მნიშვნელობას, გეგმავს ამ კუთხით გააძლიეროს მუშაობა და გამოიყენოს ანკეტირება/გამოკითხვა და სხვა საშუალებები, რათა მოახდინოს მშობლების, მოსწავლეების შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლა/გამოკვეთა სასწავლო პროცესებთან მიმართებით, რათა უზრუნველყოს კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობა. არსებობს როგორც ფორმალური სწავლებისთვის განკუთვნილი დოკუმენტაცია ასევე არაფორმალური სწავლების მაგალითად დებატების კლუბის დოკუმენტაციაც. რაც მიანიშნებს მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებასაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებულია კურიკულუმი. სკოლას აქვს მშობლებთან ურთიერთობის სხვადასხვა საკომუნიკაციო ფორმა, როგორც სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, ისე ინდივიდუალური შეხვედრები, სოციალური ქსელის საშუალებით, მშობლის ბარათები და სხვ. სკოლაში მიმდინარე

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

სასწავლო პროექტების, ღონისძიებების თუ სპორტული აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას სასკოლო საზოგადოებისთვის სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს. სკოლის ელექტრონული ფოსტა, სკოლის ღია სივრცე, საინფორმაციო დაფა, რომელზეც ახალი ინფორმაციის განთავსება ხდება სკოლის შიდა და გარე კომუნიკაციის საშუალებებია, რომლის საშუალებითაც ხდება მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებელთა ინფორმირება და ასევე ეფექტური უკუკავშირის მიღება. დაწესებულება გეგმავს სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად, მომავალშიც გამოიყენოს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- **სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია**
- **საგნობრივი კურიკულუმები**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან**

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს
1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმებშში წარმოდგენილია სტანდარტით გათვალისწინებული ყველა თემა და კომპლექსური დავალება, შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიანი და შუალედური მიზნები. კურიკულუმების ჩარჩო ძირითადად აგებულია მატრიცებისა და კომპლექსური დავალებების ნიმუშების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ საგნობრივ კათედრაზე თანამშრომლობით შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებში ასახულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ურთიერთმიმართება, შესაბამისი რესურსები, გამოკვეთილია კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის. თუმცა იყო რიგი უზუსტობებიც მაგ: საგან მოქალაქეობაში მეათე კლასის კურიკულუმში სავალდებულო თემების გლობალური მოქალაქე და სამართლებირივი კულტურა- მოცემულია საკითხები. ასევე სამიზნე ცნებებიც არასწორად იყო მითითებული, მაგალითად: კურიკულუმში წერია სოციალიზაცია, უნდა ეწეროს საზოგადოება, არ ეწერა ქვეცნებები. ზოგგან ჩანაწერებში ქვეცნებებთან მიმართებით შეინიშნებოდა უზუსტობები.
ისტორიისა და გეოგრაფიის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ცხრილები სრულყოფილად იყო შევსებული, ხოლო მოქალაქეობის ცხრილებში იყო უზუსტობები და მეორე სემესტრის ნაწილი ზოგგან საერთოდ არ შევსებული. სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმები იძლევა იმის საფუძველს, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სკოლის საშუალო საფეხური აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

1. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში განსაზღვრულია სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. სკოლას ყველა კლასისთვის აქვს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები. სკოლას აქვს ხედვა, როგორ განუვითაროს მოსწავლეებს გლობალური ფუნქციური უნარები, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩოებში სრულად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული საბუნებისმეტყველო საგნების სამიზნე ცნებები. სკოლა აკმაყოფილებს ახალი ცოდნის კონსტრუირების კომპონენტს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, საჭიროა გასწორდეს საგან მოქალაქეობაში მოცემული თემების, შესაბამისად საკითხთა კლასტერისა და სამიზნე ცნებების, ქვეცნებების დასახელება. ასევე სწორად დახარისხდეს და დალაგდეს. შეიქმნას საგან სამოქალაქო განათლებისთვის კურიკულუმის ჩარჩო ცხრილი და ტემატური მატრიცა, შეფასების რუბრიკები. ზოგადად სკოლაში სწორადაა შერჩეული მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენა. კომპლექსური დავალების პირობები შერჩეულია ისე, რომ მოსწავლეებს უვითარებს ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივსტული პრინციპით ნაცნობ კონტექსტთან კაცშირში. საგნობრივი კურიკულუმები ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე, შესაბამისად სასწავლო პროცესი მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე.

ინდიკატორიდაკმაყოფილებულია

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

2. სკოლის მიერ წარმოდგენილია ერთ-ერთი კათედრის შემაჯამებელი დავალების ანალიზი, წარმოდგენილია დიაგნოსტიკური წერის რეფლექსია, დაკვირვების ფორმა და სადიაგნოსტიკო ტესტი. ასევე, წარმოდგენილია 34 მოსწავლიდან ერთ-ერთის ისგ-ს ნიმუში, სადაც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდივიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვისას უპირველესად მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს ითვალისწინებენ. სკოლაში შექმნილია მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები სსსმ მოსწავლისათვის. საბუნებისმეტყველო კათედრაზე სასწავლო პროცესი სრულად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს,რადგან კათედრას აქვს გამოცდილება და ამ ეტაპზე მუშაობს კოპლექსური ტიპის დავალებებით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. აღნიშნული მიდგომები ასახულია კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. სსსმ მოსწავლეებისთვის სკოლას აქვს შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და ორიენტირებულია კონკრეტული უნარების განვითარებაზე. გეგმის განხორციელების პროცესში ხდება მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასებაც შესაბამისად,

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების შესაბამისი სოლო ტაქსონომიით შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებს. წარმოდგენილია საშუალო საფეხურის კლასებისთვის როგორც

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით დგინდება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. ფასდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი. განმავითარებელი შეფასებით დგინდება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკა და მიმართულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. სკოლა მოსწვალის შეფასების მექანიზმად, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, იყენებს განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. წარმოდგენილია „სოლო“ ტაქსონომიით შეფასების ამსახველი რუბრიკები. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. საშუალო საფეხურზე კურიკულუმების შედგენისას სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და ანალიზის საფუძველზე სასკოლო საზოგადოებას შედგენილი აქვს 2023-2024 წლის სასკოლო კურიკულუმი. მნიშვნელოვანია პარალელური კლასების გამოცდილების გაზიარებაც, რაც ასევე გამოჩნდა კათედრების წარმომადგენლებთან ინტერვიურების პროცესშიც. გარდა ამისა სკოლა საშუალო საფეხურზე ითვალისწინებს წინარე გამოცდილებასა და მისი ანალიზის შედეგებს რეფლექსიის, დიაგნოსტრირების ინსტრუმენტის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით, რათა სტანდარტის შედეგების მიხედვით მოხდეს მოსწავლის შედეგების ანალიზი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

- კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი
- ისგ ჯგუფის ოქმები

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

1. საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; სკოლას წინა სასწავლო წლის განმავლობაში არ ჰქონდა ფართო გამოცდილება კომპლექსური დავალებების შედგენისა და განხორციელებისა, თუმცა სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენინგებში, მიღებული გამოცდილება დაეხმარა მათ წლის ბოლოსვე განეხორციელებინათ აღნიშნული ხასიათის დავალებები. შესაბამისად, 2023-2024 წლის კურიკულუმებში გათვალისწინებული და განხორციელებულია თემატური მატრიცები, მოსწავლის ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, კომპლექსური დავალებები, რაც მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო და საკლასო გარემო არის პოზიტიური და მოწესრიგებული, სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფილი. უშუალოდ კურიკულუმში მოცემული მიზნებიდან გამომდინარე, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული სხვა ინფორმაციებით, საბუნებისმეტყველო საგნების საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები,რომლებიც საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება ხუთ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპს შესაბამისად მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს აქტურად შემოქმედებით პროცესებში. სწავლება მიმდინარეობს პოზიტიურ სასწავლო გარემოში და მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და რეალიზება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. საშუალო საფეხურზე, სკოლის კათედრებს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, სამიზნე ცნება, მიმართულებები, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების პირობები. საკითხები თუ რესურსები ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნების გათვალისწინებითაა

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

შერჩეული. სკოლის პრაქტიკაში არსებობს კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის გამოცდილება, 2022-2023 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრის მიერ განხორციელებულ ტრენინგებში აქტიური ჩართულობის შედეგად პროცესი დაიხვეწა. ახალ კურიკულუმში წარმოდგენილია და უკვე ხორციელდება თემების შესაბამისი კომპლექსური ხასიათის დავალებები. პედაგოგებთან გასაუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესი მიმდინარეობს ეპიზოდურად, თუმცა იმისთვის, რომ მოსწავლე დაეუფლოს სწავლის სტრატეგიებს და შემოქმედებითი პროდუქტი შექმნან გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში, აუცილებლად უნდა გაიწეროს ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით კურიკულუმის დანართი, სადაც კომპლექსური დავალებების მიხედვით წარმოდგენილი იქნება ცოდნის აგების პრინციპი და სწავლა განხორციელდება კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურ დავალებამდე. ნაკლებია აქცენტი სწავლის სწავლაზე და მეტაკოგნტური უნარების განვითარების წინაპირობა. საფეხურის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილების გეგმებიდან და შეფასების რუბრიკებით ჩანს, რომ გამოიყენება სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი მეთოდები დამოუკიდებლად ცოდნის ასაგებად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

4. საგნობრივი კურიკულუმები და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური აქტივობები ცოდნის სამ კატეგორიაზეა ორიენტირებული. სწორად განხორციელებულ სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს, გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე გადის, იგეგმება და ხორციელდება პრობლემაზე დაფუძნებული აქტივობები და დავალებები. საშუალო საფეხურზე სწავლების დროს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებული დავალებები წარმოდგენილია სხვადასხვა სახით, რომლებიც ხელს როგორც დეკლარაციულ, ისე პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. კურიკულუმები დაგანხორციელებული კომპლექსური დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირების შესაძლებლობას იძლევა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. საშუალო საფეხურის კურიკულუმიდან ჩანს რომ, თემის ფარგლებში გაწერილია კონტექსტ მაგალითები, შედარების მაგალითები და კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები, რომლებზე ფიქრი და მუშაობა, კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესი, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მოსწავლის მხრიდან მოითხოვს ახსნას, მსჯელობასა და დასაბუთებას. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს იმას, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ცოდნათა ორგანიზება. პედაგოგებთან ინტერვიუმ და საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრების წლიურმა ანგარიშმა აჩვენა, რომ პედაგოგებს აქვთ გამოცდილება საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირებისა(მათემატიკა და ი.ს.ტ-ის საგნებს შორის, მათემატიკა და ქართულის საგნებს შორის) . დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმი ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩოები;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
- 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში/ანალიზი;
- გაკვეთილების გეგმის ნიმუშები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

1. კურიკულუმის ჩარჩოში შუალედური და გრძელვადიანი მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი აქტივობების რესურსებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს სწორად აქვთ მითითებული საკითხები, ცნებები, ქვესაკითხები. საგნობრივი კურიკულუმი ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით სასწავლო პროცესში მუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო/სარეკომენდაციო თემები, მიმართულებები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათი რეფლექსიები სკოლაში სწავლა სწავლების მიზნობრივ პროცესს. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას. გამონაკლისია საზოგადოებრივი კათედრა, სადაც საგან მოქალაქეობაში მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში არის თავსებადობა და საჭიროებს ძირეულ რედაქტირებას, რათა შესაბამისობაში მოვიდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. საშუალო საფეხურზე მოსწავლის კოგნიტურ განვითარებასთან ერთად ვითარდება სოციალური უნარ-ჩვევებიც. სკოლა მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის ხელშემწყობ გარემოს ქმნის ისეთი არაფორმალური აქტივობებით, რომლებიც 21-ე საუკუნის კომპეტენციებსა და გლობალურ უნარებს ავითარებს. მდგრადი შედეგების მისაღწევად სწავლა-სწავლების პროცესს ესაჭიროება მუდმივი მონიტორინგი, თვითრეფლექსია და პროფესიულ განვითარებაზე აქტიური მუშაობა. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე მორგებული აქტივობები, სასწავლო პროცესი თანამშრომლობასა და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული. იმისთვის, რომ ეს პროცესი

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

გაზომვადი იყოს, აუცილებელია სასწავლო პროცესში აქცენტები გაკეთდეს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე, კურიკულუმში აქტივობები ამას ხელს უნდა უწყობდეს და კომპლექსური დავალების/პროექტების განხორციელების პროცესში თანმიმიდევრულად უნდა მოხდეს მისი განვითარება თითოეული მოსწავლის მიერ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ეს საკითხვები გააზრებული აქვთ. მათ აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესს ისე წარმართავენ, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს დაეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში მოცემული ინფორმაცია ემსახურება მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას, სხვა საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც ძირითადად სხვადასხვა ტიპის პროდუქტით განისაზღვრება, აქტივობების განხორციელების პროცესში მოსწავლეს შესაძლებლობას აქვს, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად, გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასაწვლო გეგმას. სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. ამისათვის წარმოდგენილია ხარვეზიანი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებელთა მიერ აღნიშნული ინფორმაციით, რომ კომპლექსური დავალებების ბოლოს შეფასება კეთდება სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით, ამგვარი მიდგომა შეფასებას ხდის გამჭირვალეს, ობიექტურსა და სამართლიანს. იკვეთება საგნები, რომელთა სწავლებაც არ არის მკაფიოდ კავშირში

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

საგნობრივ სტანდარტებთან. ეს, შესაძლოა, ერთი მხრივ განპირობებული იყოს სტანდარტის შედეგების ცვლილებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლები ავლენენ აღნიშნული შეფასების მეთოდოლოგიურ ცოდნას, ესმით განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის მოტივაციის მიზნით შეფასების დადებით ასპექტებზე აკეთებენ აქცენტირებას, შემდეგ კი _ გასაუმჯობესებელ მხარეზე. ამრიგად, შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად კათედრები იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რუბრიკებში ნათლადაა ასახული, რომელ ინდიკატორს მიემართება შეფასება. ის ასპექტი, რომ შეფასების სისტემის შერჩევა ხდება ესგ-ზე დაყრდნობით, მას უფრო ვალიდურსა და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისს ხდის. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში თითოეულ კრიტერიუმს აქვს მინიჭებული ქულა, შესაბამისად, მოსწავლემ იცის პირობითად რა კრიტერიუმის მიხედვით რამდენ ქულას იმსახურებს. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ პედაგოგებმა ერთად შექმნეს სტანდარტზე დაყრდნობით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლას წარმოდგენილიაქვს ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები“, რომლის მიხედვით განსაზღვრულია მოსწავლის შეფასების სისტემა, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. საგნობრივი კათედრების ოქმებიდან ჩანს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას არჩეული აქვს მოსწავლეთა შეფასების პირველი მოდელი. საშუალო საფეხურის საგნობრივ კათედრებზე მომდევნო სასწავლო წლისთვის შერჩეულია

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი. დიაგნოსტირება იგეგმება წელიწადში ორჯერ. მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე შეფასდება კათედრის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. ასევე განსაზღვრულია შეფასების ვერიფიკაციის არსი, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტების შერჩევის მექანიზმები, ვერიფიკაციის ჯგუფი, ჯგუფის წევრების ფუნქციები, ვერიფიკაციის ჯგუფის სამოქმედო გეგმა და ვერიფიკაციის დასკვნის მომზადების წესები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლაში მოქმედებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესები. დირექტორის სამართლებრივ - ადმინისტრაციული ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. კათედრის მიერ მოსწავლეთა მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემს/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- კურიკულუმის ჩარჩოები
- განმავითარებელი და განმსაზრვრელი შეფასების რუბრიკები
- მოსწავლის ნამუშევრის ანალიზი
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შემდეგი საკითხები: სკოლის პრიორიტეტებსა და საჭიროებებზე მორგებული საათობრივი ბადე; მოსწავლეთა პიროვნული ზრდაზე ორიენტირებული საგნობრივი პროგრამები; აკადემიური მიღწევების შეფასების წესები; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. აღსანიშნავია, რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს თანამშრომლობითი ურთიერთობები. კათედრებზე ხდება გამოცდილების გაზიარება, რათა გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომებით შეძლონ მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე ზრუნვა. საშუალო საფეხური ამ კრიტერიუმში სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 წლის სასწავლო გემაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. სკოლაში მოსწავლე თავად არის საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი, მიმდინარეობს კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება და ხდება მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპონენტური უნარების პროგრესის შეფასება: (სკოლას საგნებში აქვს კონტექსტ მაგალითზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სასწავლო პროცესში ხდება მოსწავლის ცოდნის დონის აღწერა განმავითარებელი კომენტარით, ზეპირსიტყვიერად) მნიშვნელოვანია აღინიშნოს,რომ მოსწავლეთა სწავლება მიმდინარეობს დიფერენცირებული მიდგომებით. სკოლაში ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველშე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეებზეა ორიენტირებული. ამ ამოცანის შესასრულებლად ძალზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი კომპლექსური დავალებებია, რომლებიც მოსწავლეს სწავლის სწავლის, კვლევის, წინარე და ცხოვრებისეული გამოცდილების საშუალებას აძლევს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ 2023-2024 სასწავლო წელს ყველა საგანში იგეგმება კომპლექსური დავალების განხორციელება. სკოლაში ხორციელდება ისეთი სასწავლო პროექტები, რომელებიც ზრდის მოსწავლეების მოტივაციას და უვითარებს მათ უმნიშვნელოვანეს, 21-ე საუკუნის უნარებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. საშუალო საფეხურის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ინტენსიური ხასიათი აქვს კომუნიკაციას. სხვადასხვა საგნობრივ კათედრებზე და კათედრებს შორის ხდება შეხვედრები მოსწავლეთა ცოდნის დონის, სასწავლო პროცესში წარმოქმნილი პრობლემების და გამოცდილების გაზიარების მიზნით. სასკოლო საზოგადოებაში დამკვიდრებულია თანამშრომლობა და გუნდურობა, რაც თანამშრომლობის პროცესს ეფექტურს ხდის. პირადმა ინტერვიუებმა კიდევ

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

უფრო დაადასტურა ის, რომ კათედრების პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, აქვთ მუდმივი კომუნიკაცია, განიხილავენ სასწავლო პროცესს, შეფასებებს, კომპლექსურ დავალებებს და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სასკოლო საზოგადობაში განვითარებულია სასკოლო თანამშრომლობითი კულტურა. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერა. წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლა ცდილობს პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას როგორც სასკოლო, ისე საკლასო დონეზე. ამას ხელს უწყობს როგორც სკოლის შინაგანაწესი, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაც. სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი სადამრიგებლო პროგრამით განსაზღვრული თემები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა შორის მეგობრული და ტოლერანტული გარემოს შექმნას. სადამრიგებლო საათები ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ-პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს.
კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგიის, სადამრიგებლო პროგრამების, სკოლის შინაგანაწესის და სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობა გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური კლიმატის შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა**
- **კურიკულუმი**
- **სკოლის შინაგანაწესი**

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტის სახით "სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", რომელშიც აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. ის გულისხმობს შემდეგი ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას: ა) კურიკულუმი შემუშავება; ბ) დანერგვა; გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; დ) გადასინჯვა და რევიზია. სკოლას გაწერილი აქვს დეტალურად, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება და რომელ პრინციპებს უნდა დაეყრდნოს. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)? სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: - მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით სკოლას დოკუმენტში გაწერილი აქვს პროცესი დეტალურად და უზრუნველყოფს მონიტორინგს და შეფასებას განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

პირველად ავტორიზაციაზე 2.3.1.1. ინდიკატორი ვერ ფასდება

2. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას აქვს მხარდამჭერი ფუნქცია. მისი მიზანი არის სასკოლო საზოგადოებას დაეხმაროს სასწავლო შედეგების მიღწევაში, უკეთესი გარემოს შექმნაში. მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მეთოდური მიდგომის მთავარ მიზანს წარმოადგენს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრა. ასევე სკოლის თვითშეფასებით დასტურდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება პრობლემის აღმოფხვრის მიზნით. სკოლაში უწყვეტად მიმდინარეობს შეფასების პროცესი, რომლის საფუძველზეც ხდება საჭიროებების გამოვლენა და ინტერვენციების დაგეგმვა, თუკი გადაჭრის გზები არ აღმოჩნდება ქმედითი, ხდება ახალი ფორმების, ინსტრუმენტების ძიება, რომლებიც სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე არის ორიენტირებული.
მეთოდოლოგიის დოკუმენტში სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობის გაძლიერება ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში - სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და დაგეგმის მეთოდოლოგია და „შიდა საქმიანობის ხარისხი“-

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

იკვეთება, რომ ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას, აგრეთვე, ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭიროა პროგრამების, მიმდინარე სასწავლო პროცესის სისტემატური გადახედვა, კონტროლი, რათა შენარჩუნებული იქნას ხარისხი და ეფექტურობა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. შესაბამისად. სკოლა აქვს მზაობა და გაწერილი საქმიანობების თანამიმდევრობა, როგორ უზრუნველყოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება.

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ინსტრუმენტში ხაზგასმული არის, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სხვადასხვა პრობლემების მოგვარებას: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხდება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოკვეთილი პრობლემების გადასაჭრელად; პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას და მათ გადაჭრას ემსახურება სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე დაკვირვება .

მონიტორინგი და შეფასება მუდმივი პროცესია და სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე არის ორიენტირებული. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შედეგებს მუდმივად იყენებენ მომავალი სამუშაოს დაგეგმვისათვის. ისინი ხშირად ხვდებიან მოსწავლეებს ინდივდუალური საჭიროებიდან გამომდინარე. სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი "სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", სადაც დეტალურადაა გაწერილი ფუნქციები, პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის; მოხდება აღწერა, თუ: - რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); - რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით. მოხდება მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; - სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლების გადაჭრისთვის); - სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის) აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზიდან შეგვიძლია დავადგინოთ , რომ სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

საბუნებისმეტყველო მიმართულებით ექსპერტების მიერ გაიცა რჩევა: **მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები დეტალურად აღწეროს მეთოდოლოგიაში, კერძოდ, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს - მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად ვინ/რომელი სტრუქტურული ერთეულები/ჯგუფები განახორციელებენ შეფასებას, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ კრიტერიუმები/ინდიკატორები, რომლითაც მოხდება შეფასება და გაეცემა პასუხი კითხვას-რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს.**

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები;
- ✓ სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ✓ პედაგოგებთან პირადი გასაუბრება;
- ✓ ვერიფიკაციის მექანიზმი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორც მეთოდოლოგიის დოკუმენტში არის აღნიშნული, ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისაგან: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით, ასევე ინფორმაცია გროვდება პედაგოგებზე დაკვირვების გზით, მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა თანამშრომლობითი პროცესების გაღრმავების მიზნით. შეფასების პროცესში ჩართულია სკოლის კათედრები, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, კათედრის წევრები მხარს უჭერენ და ახორციელებენ ჰოლისტურ მიდგომებს.
სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, კერძოდ: როგორც კომპლექსურ დავალებებს, ასევე შემაჯამებელ სამუშაოებს. აღნიშნული დავალებების შეფასება ხორციელდება წინასწარ შეთანხმებული ინსტრუმენტებითა და გაწერილი რუბრიკების მიხედვით.
ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სასკოლო კურიკულუმის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. როგორც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში არის აღნიშნული, დოკუმენტის განვითარების პროცესში მრავალი მხარე არის ჩართული: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დირექცია. მაგალითად, დაკვირვების საგანი არის რამდენად გაუმჯობესდა წინა მოსწავლეთა შედეგები, რა იყო მშობლებთან კომუნიკაციის ხელისშემშლელი ფაქტორები, რა

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

ფაქტორები უშლიდა ხელს დირექციას მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებაში და ა.შ. სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უნარებზე დაკვირვებას და შედეგების მოდიფიცირებას. მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესში სკოლა ძირითადად იყენებს გამოკითხვას, ფორმალურ/არაფორმალურ დაკვირვებას. სკოლა იაზრებს, რომ სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება. აღნიშნული კი შესაძლებელია საკითხისადმი მრავლმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს.

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ინფორმაციის შეგროვების მიზნით: დაკვირვება, დიაგნოსტირების მეთოდები, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ბეჭდვითი სიტყვა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. მასწავლებლები ცდლობენ გაიგონ მოსწავლეების, მშობლების და მასწავლებლების აზრი სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხეთან დაკავშირებით. ამისთვის იყენებენ გამოკითხვას, ინტერვიუს , დაკვირვებას, ფოკუსჯგუფებს. შეფასების პროცესში ჩართული არიან მოსწავლეებიც.
ექსპერტების მიერ **სკოლას მიეცა რჩევა მომავალში, 2023-2024 სასწავლო წლიდან, გამოიყენოს მრავალფეროვანი თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (გამოკითხვა, ანკეტირება, ფოკუსჯგუფი, ინტერვიუ, დაკვირვება, ანგარიშები, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, ექსპერიმენტი და ა.შ. და სხვა.), რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს.**

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში: „ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“- ასახულია, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეთა შეფასების, მასწავლებელთა

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

პროფესიული განვითარების და კურიკულუმის განვითარების მიზნით. სკოლა გეგმავს, მათ მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა მორგებული იყოს მოსწავლეთა ინტერესებზე, შესაძლებლობებზე, საჭიროებებზე, რესურსების წვდომასა და სხვა ფაქტორებზე.

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები
- ✓ ვერიფიკაციის მექანიზმი
- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი დეტალურადაა წარმოადგენილი დოკუმენტში - "კურიკულუმის მეთოდოლოგია". მასში გაწერილია ნაბიჯები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მომხდარიყო კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. პედაგოგებისა და სკოლის წარმომადგენელთა განცხადებით, სკოლა კურიკულუმის განვითარების მიზნით მომავალი სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების წარმოებას. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტებია, კათედრული მუშაობა, მოსწავლეთა ჩართულობის გაანალიზება, მოსწავლეთა შეფასებებზე დაკვირვება და პროგრესის დიაგნოსტირება, ასევე დირექციის ჩართულობა პროცესში. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად არის გაწერილი ამოცანები, აქტივობები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები, მაგალითად გაწერილია საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები, სადაც მასწავლებლებმა საგნობრივ კათედრებზე უნდა შეიმუშაონ საგნობრივი კურიკულუმები. სკოლას გაცნობიერებული აქვს კურიკულუმის რევიზიის მნიშვნელობა და განხორციელების წესი, რომელიც დეტალურადაა წარმოდგენილი დოკუმენტში - "კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". მასში გაწერილია ნაბიჯები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება. კურიკულუმის განახლება და განვითარება ხდება სასწავლო წლის განმავლობაში, შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის სარეკომენდაციო პაკეტი იქმნება რამდენიმე კომპონენტზე დაყრდნობით, რაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტებია,

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

კათედრული მუშაობა, მოსწავლეთა ჩართულობის გაანალიზება, მოსწავლეთა შეფასებებზე დაკვირვება და პროგრესის დიაგნოსტირება, ასევე დირექციის ჩართულობა პროცესში. აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზიდან და გასაუბრებიდან გამომდინარე ექსპერტთა შეფასებით, სკოლა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის მიხედვით განახორციელებს მის განვითარებას.

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში. კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება. შესაბამისად სკოლა კურიკულუმის გადამუშავების პროცესში დაეფუძნება წინარე გამიცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ექსპერტთა შეფასებით, მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმის ნიმუშები;
- ✓ სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

17.11.2023
თარიღი

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა



წევრების ხელმოწერა:

ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

წევრების ხელმოწერა: